დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - არქეოლოგია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
12 აპრილი, 2023 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
14 ივნისი, 2023 წელი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 12
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 12
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 26
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 34
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 37
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 44

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ევროპის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201954956
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლევან ჭაბაშვილი (შპს - საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მერაბ ჭუმბურიძე (სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო სანადირაძე (სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო) თბილისის მუზეუმების გაერთიანება - გენერალური დირექტორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე (სსიპ - ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	საბა ყაფლანიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	არქეოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Archaeology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი აკადემიური განათლების I საფეხური)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	არქეოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Archaeology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0222 ისტორია და არქეოლოგია
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

შპს ევროპის უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს.

პროგრამის მიზანია მოამზადოს ადგილობრივი და სართაშორისო საგანმანათლებლო სივრცის და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე არქეოლოგები. რომლებიც შეძლებენ თანამედროვე სამეცნიერო მოთხოვნების შესაბამისი კვლევების განხორციელებას და თავის წვლილს შეიტანენ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის, წარმოჩენის და დაცვის საქმეში.

პროგრამის განხორციელებისთვის შპს ევროპის უნივერსიტეტმა უკვე განახორციელა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები. უნივერსიტეტში შეიქმნა არქეოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, არქეოლოგიური მუზეუმი და არქეოლოგიური მასალის საცავი. ჩამოყალიბდა და თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც 2018 წლიდან ახორციელებს საველე არქეოლოგიურ სამუშაოებს. აღნიშნული ექსპედიციის მუშაობა უზრუნველყოფს პროგრამისთვის საჭირო პრაქტიკის განხორციელებას. არქეოლოგიის პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შპს ევროპის უნივერსიტეტის არქეოლოგიის პროგრამა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინების შემთხვევაში შეძლებს დასახული მიზნების შესრულებას. არქეოლოგიის პროგრამა შესაძლებელია გახდეს კონკურენტუნარიანი ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე, უზრუნველყოს მისაღები კონტინგენტის სწავლის ხარისხი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 06 მარტის №261914 ბრძანების საფუძველზე შედგა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც წარედგინა შპს-ევროპის უნივერსიტეტის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამა ***არქეოლოგია*** აკრედიტაციის სტანდარტებთან შედარების მიზნით.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს-ევროპის უნივერსიტეტში არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად შედგა 2023 წლის 12 აპრილს. ვიზიტამდე ერთი დღით ადრე ჩაინიშნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინასწარი შეხვედრა ონლაინ ფორმატში. შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წინასწარი მიგნებები.
ვიზიტმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, დაწესებულების სხვა მოქმედი პროგრამების (გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ახალია) სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, არქეოლოგიური მასალის საცავი და მუზეუმი. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა. ვიზიტმა კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემა არ შექმნილა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - **სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისი (სრული შესაბამისობა დადგინდა 1.3, კომპონენტებში, ხოლო მეტწილი კომპონენტებში - 1.1, 1.2, 1.4, 1.5);**
  - **სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა (სრული შესაბამისობა დადგინდა 2.1, 2.3, 2.4 კომპონენტებში, ხოლო მეტწილი კომპონენტში - 2.2) - სრული შესაბამისობა;**
  - **სტანდარტი 3: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - სრულად შესაბამისი (სრული შესაბამისობა კომპონენტში 3.1, არ შეფასდა კომპონენტი: 4.2);**
  - **სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - სრულად შესაბამისი (სრული შესაბამისობა კომპონენტებში 4.1, 4.3, 4.4, 4.5; არ შეფასდა კომპონენტი: 4.2);**
  - **სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - სრულად შესაბამისი (სრული შესაბამისობა ყველა კომპონენტებში);**

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი 1.1:

- (1) რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში გამოიკვეთოს, თუ რაც ცოდნას მიიღებს კურსდამთავრებული.

კომპონენტი 1.2:

- (1) რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს კავშირის მიღებული ცოდნისა პროგრამის მიზნებთან;
- (2) რეკომენდებულია მოვიდეს შესაბამისობაში მეორე და მეშვიდე შედეგები პროგრამის სტრუქტურასთან;
- (3) რეკომენდირებულია პროგრამის მიზანში აისახოს მეოთხე შედეგში მისაღები ცოდნა;
- (4) რეკომენდებულია გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა უნარს, შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს კურსდამთავრებულებს, რათა მოამზადოს ისინი პროფესიული თუ აკადემიური კარიერისთვის;

კომპონენტი 1.4:

- (1) რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში გადატანილი იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტიდან შემდეგი სასწავლო კურსები: წყალქვეშა არქეოლოგია, ბიბლიური არქეოლოგია, ქრისტიანული არქეოლოგია და არქეომეტრია.
- (2) რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში შემავალი სასწავლო კურსები: მაგალითად, კლასიკური ენები, ეთნოლოგიის საფუძვლები, ქართული ნუმიზმატიკა, წინარე

ქრისტიანული ხანის ტორევტიკა. ისტორიული და პრაქტიკული ანთროპოლოგია, წინარექრისტიანული ხანის გლიპტიკა

- (3) რეკომენდებულია სასწავლო კურსების შედეგები გადაიხედოს და შეჯერდეს პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და პრაქტიკულ უნარებთან მიმართებაში.
- (4) რეკომენდებულია გადაიხედოს სავალდებულო სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურათა ჩამონათვალი და დაემატოს თანამედროვე ავტორები და გამოცემები;

კომპონენტი 1.5:

- (1) რეკომენდებულია სასწავლო კურსში „საქართველოს ისტორია I" მითითებული სავალდებულო ლიტერატურა საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970, ჩანაცვლდეს ახალი სახელმძღვანელოებით;

  (2) რეკომენდებულია სასწავლო კურსის „არქეოლოგიის საფუძვლების" მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი მოყვანილი იქნეს ერთმანეთთან კორელაციაში;
- (3) რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „არქეოლოგიის საფუძვლები", „პრეისტორიული ხანის არქეოლოგია" და „კავკასიის არქეოლოგია" შეტანილი იქნეს ცვლილებები და ენეოლითიდან გვიანი ბრინჯაოს ხანის ჩათვლით თემატიკის გადაფარვა იქნეს გასწორებული;
- (4) რეკომენდირებულია გასწორდეს სასწავლო კურსის „ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციები" დასახელება სილაბუსში;
- (5) რეკომენდირებულია განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსში „ქართული ნუმიზმატიკა";
- (6) რეკომენდებულია სასწავლო კურსის „არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვა და კონსერვაცია" დასახელება, მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან კორელაციაში.
- (7) სასწავლო კურსი „პრეისტორიული ხანის არქეოლოგია" ორ ნაწილად დაყოფა, რაც გულისხმობს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ეპოქის ქვის- და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის ცალე სასწავლო კურსებად ჩამოყალიბებას.

კომპონენტი 2.2:

- (1) რეკომენდებულია პროგრამაში შეტანილი იქნეს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის ისეთი მნიშნელოვანი სასწავლო კურსი, როგორიცაა არქეოლოგიური კვლევის მეთოდიკა. ეს სასწავლო კურსი რეკომენდირებულია პროგრამაში წინ უსწრებდეს საველე-არქეოლოგიური პრაქტიკის პირველ ნაწილს. რეკომენდებულია ამ კურსს უძღვებოდეს საველე-არქეოლოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელი ან ის აკადემიური პერსონალი რომელიც აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ პრაქტიკაში.
- (2) რეკომენდირებულია სასწავლო კომპონენტის საველე-არქეოლოგიური პრაქტიკა რომელიც სამ ნაწილადაა დაყოფილი ორ ნაწილად გაერთიანება. ან მოიძებნოს არქეოლოგიის პროგრამისთვის სხვა მისაღები ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს არქეოლოგიური გათხრების და არქეოლოგიური დაზვერვების პრაქტიკის განხორციელებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და არა მისგან განცალკევებით. რეკომენდირებულია ამავე სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში მიეთითოს ლიტერატურა რომლის საფუძველზეც ხორციელდება სილაბუსში აღნიშნული „ძირითადი მეთოდების და წესების ახსნა".

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კომპონენტი 1.1:

- (1) სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.
- (2) სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა;
- (3) სასურველია პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად რეგულარულად ხდებოდეს დამსაქმებელთა გამოკითხვა, და ამ გამოკითხვებით, დგინდებოდეს თუ რამდენად ეფექტურია პროგრამა.
- (4) სასურველია სწავლის შედეგების განსასაზღვრად და პროგრამის სპეციფიკის გასააზრებლად მომზადდეს ბაზრის კვლევა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ობიექტების, მათ შორის განმახორციელებლების ჩართულობით, პოტენციურ დამსაქმებელთა რეალური საჭიროებების გამოსავლენად.

კომპონენტი 1.4:

- (1) სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა;
- (2) სასურველია პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკის კომპონენტში მომზადდეს პრაქტიკის დეტალური აღმწერი და თანამშრომლობის მახასიათებელი.
- სასურველია წარმოდგენილი იყოს მემორანდუმებში დეტალურად პროგრამით გათავლისწინებული შედეგების აღმწერი და თანამშრომლობის შინაარსი;

კომპონენტი 1.5:

- (1) უნივერსიტის მიერ განხორციელებულ არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს სასურველია ყურადღება უფრო გამახვილდეს კვლევების არადესტრუქციულ მეთოდებზე;
- (2) სასწავლო კურსში „ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის არქეოლოგია" სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება. სასურველია, მაგალითად საქართველოს ისტორიის ნარკვევები I. თბ. 1970 ის ამოღება და თანამედროვე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს დამატება. ეს მინიშვნელოვანი იქნებოდა მაგალითად I-VII სალექციო თემებთან კავშირში.
- (3) სასწავლო კურსში „ეკონომიკის ისტორია" სასურველი იქნებოდა უფრო მეტი დროის დათმობა პრეისტორიული ხანის თემატიკისთვის;
- (4) სასწავლო კურსში „მსოფლიო სავაჭრო-საქარავნო გზები და საქართველო" სასურველი იქნებოდა პრეისტორიული ხანის განხილვაც;
- (5) სასწავლო კურსში „წინარე ქრისტიანული ხანის ტორევტიკა" იმ სალექციო თემებში რომლებიც ეხება თრიალეთის კულტურის ტორევტიკის ნიმუშებს, სასურველია თუნდაც პარალელების სახით განხილულ იქნეს ასევე სომხეთში აღმოჩენილი ამავე კულტურის კუთვნილი ტორევტიკის ნიმუშებიც;
- (6) სასურველია სასწავლო კურსში „ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის არქეოლოგია" სასურველია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის მონაცემების სრულყოფა.
- (7) სასურველია სასწავლო კურსში „პრეისტორიული ხანის არქეოლოგია" დაზუსტდეს IX სალექციო თემაზე მითითებული ლიტერატურის გვერდები და XVI სალექციო თემა;
- (8) სასურველია ლიტერატურის ჩამონათვალის დანომვრა სასწავლო კურსში ქართული დიპლომატიის ისტორია;

კომპონენტი 4.1

- სასურველია გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა არქეოლოგიაში.

კომპონენტი 4.4:

- სასურველია უზრუნველყოფილ იქნეს უახლეს დარგობრივ და პროფესიულ გამოცემებზე და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობის გაძლიერება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

საერთაშორისო საგრანტო პროექტებში პროგრამის პერსონალის მონაწილეობის არსებული პრაქტიკა

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

1. დაზუსტებულია რეკომენდაცია კომპონენტი 1.1 რეკომენდაცია Nr. 1 – **„რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებში გამოიკვეთოს, თუ რა ცოდნას მიიღებს კურსდამთავრებული“**. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით პროგრამის მიზანში უნდა აისახოს ის ცოდნა რასაც მიიღებს კურსდამთავრებული. აქ კი ძირთადად უნარებზეა საუბარი და არ არის ნაჩვენები რა ცოდნის საფუძველზე მოახერხებს კურსდამთავრებული ამას.

2. გაზიარებულია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და ამოღებულია რეკომენდაცია კომპონენტი 1.1 რეკომენდაცია Nr. 2 – **„რეკომენდებულია დაზუსტდეს და გადაიხედოს პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგები სტანდარტების შესაბამისად“.**

3. არ არის გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და უცვლელი რჩება რეკომენდაცია კომპონენტი 1.2 რეკომენდაცია Nr. 1 – **„რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს კავშირი მიღებული ცოდნისა პროგრამის მიზნებთან“.** აკრედიტაციის სტანდარტის პროგრამის სწავლის შედეგების აღწერილობით ნაწილში მითითებულია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. ასევე პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. სტანდარტის ეს მოთხოვნა პროგრამის სწავლის შედეგებში ნაკლებად არის ასახული, რადგან არ ჩანს რა ცოდნის საგუძველზე ხდება შედეგებზე გასვლა. პროგრამაზე მუშაობისას ხდება მიზნის ჩამოყალიბება და შემდეგ მასთან ლოგიკურად დაკავშირებული შედეგების ფორმირება, რაც ამ შემთხვევაში ნაკლებად ჩანს.

4. არ არის გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და უცვლელი რჩება რეკომენდაცია კომპონენტი 1.2 რეკომენდაცია Nr. 3 – **„რეკომენდირებულია პროგრამის მიზანში აისახოს მეოთხე შედეგში მისაღები ცოდნა“**. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით არ ჩანს რა კავშირშია მიზნები იმ ცოდნასთან, რომელიც აქ არის ასახული. ცოდნა გაცნობიერებაში 4 შედეგია და რას უკავშირდება ეს შედეგები მიზანში. არ ჩანს, ან როგორ

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

განიხილავს მეთოდოლოგიას, რომელსაც არ სწავლობს, მხოლოდ პრაქტიკული კომპონენტის ათვისების შედეგად მიღებული უნარების მეშვეობით?

5. გაზიარებულია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და ამოღებულია რეკომენდაცია კომპონენტი 1.4 რეკომენდაცია Nr. 3 – **„რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები, პროგრამის შესაბამის დონეზე“.**

6. გაზიარებულია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და ამოღებულია რეკომენდაცია კომპონენტი 1.1 რეკომენდაცია Nr. 3 – „რეკომენდებულია შემუშავდეს სწავლის შედეგების რუკა, რომელშიც ზრდადი რუბრიკებით იქნება ასახული თითოეული სასწავლო კურსის კავშირი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან“.

7. არ არის გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და უცვლელი რჩება რეკომენდაცია კომპონენტი 1.4. რეკომენდაცია Nr. 5. **„რეკომენდებულია სასწავლო კურსების შედეგები გადაიხედოს და შეჯერდეს პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და პრაქტიკულ უნარებთან მიმართებაში“.** აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ რუკას კავშირი არ აქვს პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და პრაქტიკულ უნარებთან.

8. გაზიარებულია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და ამოღებულია რეკომენდაცია კომპონენტი 1.1 რეკომენდაცია Nr. 4. რჩება რჩევის სახით – **„რეკომენდებულია სწავლის შედეგების განსასაზღვრად და პროგრამის სპეციფიურობის გასააზრებლად მომზადდეს ბაზრის კვლევა პროფესიულ საქმიანობათან დაკავშირებული ობიექტების, მათ შორის განმახორციელებლების ჩართულობით, პოტენციურ დამსაქმებელთა რეალური საჭიროებების გამოსავლენად“.**

9. არ არის გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და უცვლელი რჩება რეკომენდაცია კომპონენტი 1.2. რეკომენდაცია Nr. 2. – **„რეკომენდებულია მოვიდეს შესაბამისობაში მეორე და მეშვიდე შედეგები პროგრამის სტრუქტურასთან“.** აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით არ ჩანს რომელი საგნების მეშვეობით გადის პროგრამა ამ შედეგებზე.

10. არ არის გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და უცვლელი რჩება რეკომენდაცია კომპონენტი 1.2. რეკომენდაცია Nr. 4. – **„რეკომენდებულია გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა უნარს, შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს კურსდამთავრებულებს, რათა მოამზადოს ისინი პროფესიული თუ აკადემიური კარიერისთვის“.** აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით საჭიროა დაზუსტდეს პროგრამის პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედგების ურთიერთაკავშირი. ასევე პროგრამის მიზნებში გასაძლიერებელია კურსდამთავრებულთა უნარები და შესაძლებლობები, თუ რა წვლილს შეიტანენ დარგის განვითარებაში, მათ შორის პროგრამის სწავლის შედეგები სასურველია ასახავდეს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დარგის თანამედროვე ტენდენციებს.

11. გაზიარებულია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და ამოღებულია რეკომენდაცია კომპონენტი 1.4 რეკომენდაცია Nr. 4 – **„რეკომენდებულია გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა უნარს, შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს კურსდამთავრებულებს, რათა მოამზადოს ისინი პროფესიული თუ აკადემიური კარიერისთვის“.**

12. არ არის გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და უცვლელი რჩება რეკომენდაცია კომპონენტი 1.4. რეკომენდაცია Nr. 1. – **„რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში გადატანილი იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტიდან შემდეგი სასწავლო კურსები: წყალქვეშა არქეოლოგია, ბიბლიური არქეოლოგია, ქრისტიანული არქეოლოგია და არქეომეტრია“.** აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით მთავარი პრობლემაა ის, რომ არქეოლოგიის ცოდნის და უნარების ჩამოყალიბებისათვის საჭიროა მინიმუმ 120 კრედიტი დარგობრივი და მომიჯნავე სპეციალობების სასწავლო კურსები. პროგრამაში ასეთები ცოტაა და სავალდებულო ბლოკში ბევრი ისეთი საგანია, რომელიც თავისუფლად შეიძლება იყოს არჩევითში და ეს იმ დროს, როცა არჩევითში რჩება არქეოლოგისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გამომუშავებისათვის საჭირო საგნები. გაუგებარია უსდ-ს პოზიცია მაშინ. როდესაც სავალდებულო სასწავლო კურსებში არის ბევრი საგანი, რომელთაც პირდაპირი კავშირი არ აქვთ არქეოლოგისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებისათვის. მაგალითად, საქართველოს ისტორია, ქართული წერილობითი წყაროები, საქართველოს ისტორიის უცხოური წერილობითი წყაროები I, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია და კვლევის მეთოდები, რომლებიც შეიძლება გადატანილი იქნას არჩევითი სასწავლო კურსების ნუსხაში. საინტერესოა, დაწესებულების აზრით რითია ეს საგნები უფრო მნიშვნელოვანი კვალიფიციური არქეოლოგის ცოდნისა და უნარების ფორმირებისათვის?

13. არ არის გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და უცვლელი რჩება რეკომენდაცია კომპონენტი 1.4. რეკომენდაცია Nr. 2 – **„რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში შემავალი სასწავლო კურსები: მაგალითად, კლასიკური ენები, ეთნოლოგიის საფუძვლები, ქართული ნუმიზმატიკა, წინარე ქრისტიანული ხანის ტორევტიკა. ისტორიული და პრაქტიკული ანთროპოლოგია, წინარექრისტიანული ხანის გლიპტიკა“.** აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით პროგრამის სწავლის შედეგები მიიღება ყველა სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეჯერების შედეგად და მათი ფორმირება შეიძლება მოხდეს ისე, რომ პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობამ არ გადააჭარბოს დასაშვებ რაოდენობას. თუ აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები არ ახდენენ გავლენას კურსდამთავრებულის ცოდნისა და უნარების ჩამოყალიბებაში, მაშინ რა საჭიროა მათი სავალდებულო სასწავლო კურსების ნუსხაში არსებობა. ასეთ შემთხვევაში პროგრამის სწავლის შედეგები იღებს ზოგად ხასიათს და არ ასახავენ კონკრეტულად ყველა ძირითადი სასწავლო კურსის შედეგს.

14. არ არის გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და უცვლელი რჩება რეკომენდაცია კომპონენტი 1.5 რეკომენდაცია Nr. 1 – **„რეკომენდებულია სასწავლო კურსში „საქართველოს ისტორია I” მითითებული სავალდებულო ლიტერატურა საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970, ჩანაცვლდეს ახალი სახელმძღვანელოებით“.** აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით დაწესებულების მიერ ამ რეკომენდაციის ნაწილობრივი გაზიარება არ არის მართებული, რადგან არსებობს სხვა ბევრი სახელმძღვანელო, რომელიც გაცილებით ახალია და მათში ასახულია

ისტორიის კვლევის თანამედროვე მიდგომები. გარდა ამისა, არსებობს დასახელებული ლიტერატურის ახალი ვარიანტი 2012 წელს გამოცემული საქართველოს ისტორია ტ. I.; ასევე არსებობს უფრო ახალი სახელმზღვანელო - ა. შენგელია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან თანამედროვეობის ჩათვლით. თბ., 2016; საქართველოს ისტორია, თსუ გამომცემლობა, თბ.2006 წ; თ. ბერაძე, მ. სანაძე, საქართველოს ისტორია, თბ. 2003 და სხვა.

15. დაზუსტებულია რეკომენდაცია კომპონენტი 1.5 რეკომენდაცია Nr. 2 – **„რეკომენდებულია სასწავლო კურსის „არქეოლოგიის საფუძვლების“ მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი მოყვანილი იქნეს ერთმანეთთან კორელაციაში“**. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით ამ სილაბუსში მხოლოდ თავში, პირველ ხუთ ლექციაში ეხება მეტნაკლებად არქეოლოგიის ისტორიას და საგანს, ისიც მოკლედ. დანარჩენი კი ძირითადად მსოფლიო არქეოლოგიის მოკლე ისტორიაა და სილაბუსის ლექციათა თემებში არ ჩანს, სად სწავლობს ტერმინოლოგიას, მატერიალური კულტურის არსს და არქეოლოგიის ძირითად პრინციპებს. თუ ზემოთ მითითებული საკითხები ისწავლება, ხომ უნდა ჩანდეს სალექციო თემებში. ან თუ მხოლოდ 5 ლექციაა ამისთვის საჭირო, მაშინ რა საჭიროა დანარჩენი 10? უსდ-ს არგუმენტირებულ პასუხში მოტანილი ცხრილი ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგეისა და თემატიკის შესაბამისობისა, არ არის დამაჯერებელი და გამყარებული სათანადო არგუმენტებით, განსაკუთრებით სალექციო თემებისა და სწავლის შედეგების თანხვედრის ნაწილში.

16. არ არის გაზიარებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და უცვლელი რჩება რეკომენდაცია კომპონენტი 1.5 რეკომენდაცია Nr. 7 – **„რეკომენდებულია სასწავლო კურსის „არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვა და კონსერვაცია“ დასახელება, მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან კორელაციაში“**. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის აზრით სასწავლო კურსის „არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვა და კონსერვაცია“ მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი არ შეესაბამება სათაურს. ეს სასწავლიო კურსი ძირთადად ითვალისწინებს სამუზეუმო საქმის საფუძვლების შესწავლას და შინაარსში საერთოდ არ არის თემები, რომლებშიც საუბარია არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვასა და კონსერვაციაზე.

17. გაზიარებულია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და ამოღებულია რეკომენდაცია კომპონენტი 1.5 რეკომენდაცია Nr. 4 – **„რეკომენდებულია თემატიკის გადაფარვის თავიდან არიდება სასწავლო კურსებში საქართველოს ისტორია და დიპლომატიის ისტორია“.**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და შესაბამისად, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და ამოცანებს. საგანმანათლებლო პროგამის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო სივრცისა და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე არქეოლოგები, რომლებიც შეძლებენ: 1. მატერიალური კულტურის ნაშთის ზოგადი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების, საქართველოსა და მსოფლიო კულტურის სისტემაში მისი ადგილის კვალიფიციურად განსაზღვრას; კონკრეტული არტეფაქტისა თუ ძეგლის სამეცნიერო და ეროვნული მნიშვნელობის, მისი მატერიალურ კულტურული ფასეულობის დადგენას და შესაბამისი პოზიციის ჩამოყალიბებას; 2. არქეოლოგიის ცალკეული პერიოდების დინამიკისა და მისი მომიჯნავე დარგების (ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები) ურთიერთკავშირის შესახებ მულტიდისციპლინური კვლევების განხორციელებას, არქეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობას; 3. საბაზო კვლევის თანამედროვე პრინციპების გათვალისწინებითა და ეთიკური ნორმების დაცვით ქვეყნის მდიდარი, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას, წარმოჩენას და შენარჩუნებას. ასევე, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, მორალურ-ეთიკური ნორმების გათვალისწინებით პროფესიულ სფეროში ნაყოფიერ საქმიანობას.

ანალიზი - საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნაწილობრივ შეესაბამება სწავლების საფეხურს, საჯაროა, ხელმისაწვდომი, რეალისტურია და ასახავს წვლილს სფეროს განვითარებაში. მიზანში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, თუმცა ნაკლებად ჩანს რა ცოდნას მიიღებს კურსდათავრებული. პროგრამა მეტწილად ითვალისწინებს დარგობრივი მახასიათებლის მიერ განსაზღვრულ სწავლის სფეროს თავისებურებებს, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი III-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსს „0222 ისტორია და არქეოლოგია“. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად, ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას. სწავლის დროს გამომუშავებული უნარები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს: სიძველეთა პროფილის მქონე საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული, სარეფერენტო, საარქივო-სამუზეუმო და ტურიზმის სფეროში; მასმედიაში (საგაზეთო, საჟურნალო, ტელე და რადიო რედაქციაში) არქეოლოგ-ექსპერტად; ნებისმიერ ეროვნულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში; კერძო გალერეებში; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტოში, საერთაშორისო და ადგილობრივ არქეოლოგიურ პროექტებში. პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება გააგრძელოს სწავლა სამაგისტრო საფეხურზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნებში აქცენტი გადატანილია იმ უნარების ჩამოყალიბებაზე, რაც საჭიროა არქეოლოგიასა და მომიჯნავე სფეროებში საქმიანობისათვის, მაგრამ არ ჩანს რა ცოდნას შეიძენს პროგრამის კურსდამთავრებული. შესაბამისად, საჭიროა, რომ მიზანში ჩანდეს რა ცოდნის საფუძველზე მოხდება უნარების ჩამოყალიბება. ამისათვის აუცილებელია პროგრამის კურიკულუმში მითითებული ცოდნა, თუ რას შეისწავლის პროგრამა, აისახოს პროგრამის მიზნებში სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში.

ადგილზე ვიზიტის დროს აკრედიტაციის პროცესში ჩართული აკადემიური და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი გახდა, რომ პროგრამით დაინტერესებული პირებისა და აკადემიური პერსონალისათვის პროგრამის მიზნები და პროგრამის შედეგები კომპლექსურად არ არის გააზრებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ***არქეოლოგია*** და პროგრამის დანართები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ევროპის უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები https://www.eu.edu.ge/ge/mission

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში გამოიკვეთოს, თუ რაც ცოდნას მიიღებს კურსდამთავრებული;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია სწავლის შედეგების განსასაზღვრად და პროგრამის სპეციფიკის გასააზრებლად მომზადდეს ბაზრის კვლევა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ობიექტების, მათ შორის განმახორციელებლების ჩართულობით, პოტენციურ დამსაქმებელთა რეალური საჭიროებების გამოსავლენად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - პროგრამას აქვს 10 შედეგი: 1. განმარტავს არქეოლოგიის საგანსა და მნიშვნელობას, მის სპეციფიკასა და ადგილს ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველებო მეცნიერებათა სისტემაში; აყალიბებს არქეოლოგიური კვლევის პროცესს - მასალის მოგროვებიდან გარდასულ საზოგადოებათა ისტორიის რეკონსტრუქციამდე; 2. განიხილავს არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიას. ახდენს მატერიალური კულტურის ნაშთის ზოგადი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების იდენტიფიცირებას, ნივთების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციასა და ინტერპრეტაციას; განიხილავს კონკრეტული არტეფაქტისა თუ ძეგლის სამეცნიერო და ეროვნულ მნიშვნელობას. განარჩევს მის ზოგად კულტურულ ფასეულობას; 3. არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების საფუძველზე ახდენს ძველ საზოგადოებათა კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესწავლა/რეკონსტრუქციას. განიხილავს ისტორიულ-გეოგრაფიული ლანდშაფტის ფორმირების საკითხებს. 4. აღწერს კაცობრიობის ისტორიის განვითარების ეტაპებს. განარჩევს ქართული ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების ნიმუშებს. განიხილავს საქართველოს ნივთიერ კულტურას მსოფლიო ისტორიული განვითარების კონტექსტში. 5. აფასებს როგორც საკუთარ, ასევე არქეოლოგიურ მეცნიერებაში გამოთქმულ შეხედულებებს, შეაჯამებს ძირითად დებულებებს და წარადგენს მათ შესაბამისი

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. 6. მოიძიებს სხვადასხვა სახის წყაროს (ბიბლიოთეკები, არქეოლოგიური ფონდები, არქივები და სხვ.), აანალიზებს, ახდენს მათ ინტერპრეტირებას, მსჯელობს თანმიმდევრულად და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები; ეთიკური სტანდარტების დაცვითა და შესაბამისი მეთოდების გამოყენებით ატარებს კვლევას. 7. დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი მეთოდების (ანალიზი და სინთეზი) გამოყენებით აანალიზებს ახალ და განყენებულ მონაცემებს; იყენებს სოციალურ და საკომუნიკაციო უნარებს. 8. ფლობს საველე არქეოლოგიური საქმიანობისათვის აუცილებელ კომპეტენციასა და პრაქტიკულ უნარებს: გეოსაინფორმაციო სისტემის გამოყენებით, ახდენს მოპოვებული ინფორმაციის დაფიქსირებას, დამუშავებასა და ანალიზს; წინასწარ ადგენს შესასრულებელი სამუშაოების გეგმას და ეფექტურად მართავს დროს. 9. ახდენს არქეოლოგიურ მასალაზე კამერალური სამუშაოების ჩატარებას. შედარებითი ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრავს მათ სავარაუდო თარიღს. 10. აცნობიერებს ცალკეულ არქეოლოგიურ კულტურულ ღირებულებებს და მათ შესახებ არსებულ განსხვავებულ შეხედულებებს; საველე და კვლევითი სამუშაოების წარმართვის პროცესში იცავს პროფესიული კეთილსინდისიერებისა და ობიექტურობის, ასევე გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ანალიზი - ევროპის უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ნათლად არის გაწერილი, რეალისტურია და გაზომვადია; თუმცა აუცილებელია აღინიშნოს რომ წარმოდგენილი სწავლის შედეგებისა და საწავლო კურსების შედეგებს შორის აუცილებელია გამოიკვეთოს კავშირი და მოვიდეს შესაბამისობაში, რათა ლოგიკური კავშირის არსებობდეს სწავლის შედეგებისა და დაგეგმილი უნარების გამომუშავებსა და პროგრამის შედეგებს შორის. მნიშვნელოვანია სწავლის შედეგები და პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების რუკა იმგვარად დაალაგდეს, რომ მეთოდოლოგია შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების შინაარსთან. აღწერს იმ უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში, კერძოდ, არქეოლოგიის სფეროში მოღვაწეობისათვის საჭირო ცოდნა და უნარები მეტწილად ასახულია პირველ, მესამე მეხუთე, მეექვსე, მერვე, მეცხრე და მეათე შედეგებში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შედეგში აღწერილი ცოდნა არ არის ასახული პროგრამის მიზანში. ასევე გაურკვეველია, როგორ მოახერხებს კურსდამთავრებული არქეოლოგიის კვლევის მეთოდოლოგიის განხილვას, როდესაც პროგრამის სტრუქტურა არ ითვალისწინებს არქეოლოგიური კვლევის მეთოდიკის სწავლებას. შესაბამისად, არ იკვეთება კავშირის პროგრამის მეორე შედეგსა და სასწავლო გეგმას შორის. ასევე არ ჩანს როგორ გამოიყენებს კურსდამთავრებული მეშვიდე შედეგში მითითებულ დარგობრივი სფეროსათვის შესაბამის მეთოდებს თუ არ ისწავლება არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია. აგრეთვე არ იკვეთება კავშირი მეოთხე შედეგსა და პროგრამის მიზნებს შორის, კერძოდ, რა ცოდნის საფუძველზე გადის კურსდამთავრებული ამ შედეგზე.

სწავლის შედეგები მეტწილად შედგენილია არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებელის, სწავლის სფეროს სპეციფიკის, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსის (0222 ისტორია და არქეოლოგია“) მიხედვით და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „არქეოლოგიის ბაკალავრი“. პროგრამის შედეგების შემუშავებაში ჩანს მონაწილე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისათვის. საბაკალავრო და პროგრამების სწავლების შედეგები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებით. სწავლის შედეგები მეტწილად რელევანტურია პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებისა და და იძლევა უმაღლესი განათლების მომდევნო საფეხურებზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

წარმოდგენილ პროგრამაში, აუცილებელია, პროგრამის სწავლის შედეგების რაციონალიზაცია და შესაბამისობაში მოყვანა პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან, ასევე შედეგების რუკის გაანალიზება და შედეგების მიღწევის შესაძლებლობის შესაბამისობა

დამსაქმებლების ჩართულობით. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა გაძლიერდეს იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულების უნარს, შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში.
წარმოდგენილი სილაბუსების აღწერილობისა და შინაარსის შედეგების მიხედვით, სავალდებულო კურსები ემსახურება ცოდნის, აღქმისა და უნარების გაზრდა/გაუმჯობესებას. მიზანშეწონილია, არსებობდეს მკაფიო კავშირების უზრუნველყოფა პროგრამის სწავლის შედეგებსა და კონკრეტული კურსების სწავლის შედეგებს შორის. შესაბამისად, უმჯობესია, რომ სწავლის შედეგები და სასწავლო კურსები ერთმანეთთან და პროგრამის შედეგებთან მიმართებაში თანმიმდევრული იყოს. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს უნარებს, რომლებსაც პროგრამა ავითარებს, რათა მოამზადოს კურსდამთავრებულები აკადემიური კარიერისა და დამსაქმებელთა საჭიროებისათვის.
ასევე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით რთულია დაზუსტდეს დამსაქმებლის მონაწილეობისა და ჩართულობის წილი პროგრამაში, თუმცა, ზოგადი გამოკითხვის შედეგების ანალიზში დამსაქმებელი ფიგურირებს, მაგრამ არ ჩანს მათი წილი რეკომენდაციების ნაწილში. ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიურიებისას ცხადი იყო, რომ დამსაქმებლები მხარდაჭერას უცხადებენ პროგრამას და გამოთქვამენ მზაობას მონაწილეობა მიიღონ, იმისთვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგები იყოს მიღწეული თუმცა არცერთ მხარეს არ აქვს გაცნობიერებული თავიანთი საჭიროება და ურთიერთკავშირი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და პროგრამის დანართები
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს სწავლის შედეგად მიღებული ცოდნის კავშირი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან;
2. რეკომენდირებულია მოვიდეს შესაბამისობაში მეორე და მეშვიდე შედეგები პროგრამის სტრუქტურასთან.
3. რეკომენდირებულია პროგრამის მიზანში აისახოს მეოთხე შედეგში მისაღები ცოდნა.
4. რეკომენდებულია გაძლიერდეს პროგრამის სწავლის შედეგები იმ სფეროში, რომელიც შეეხება კურსდამთავრებულთა უნარს, შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს კურსდამთავრებულებს, რათა მოამზადოს ისინი პროფესიული თუ აკადემიური კარიერისთვის.
5. რეკომენდებულია სწავლის შედეგების განსასაზღვრად და პროგრამის სპეციფიურობის გასააზრებლად მომზადდეს ბაზრის კვლევა პროფესიულ საქმიანობათან დაკავშირებული ობიექტების, მათ შორის განმახორციელებლების ჩართულობით, პოტენციურ დამსაქმებელთა რეალური საჭიროებების გამოსავლენად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.
- სასურველია პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად რეგულარულად ხდებოდეს დამსაქმებელთა გამოკითხვა, და ამ გამოკითხვებით, დგინდებოდეს თუ რამდენად ეფექტურია პროგრამა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად (დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №92 ბრძანებით). ვინაიდან წარმოდგენილ პროგრამა აკრედიტაციის პროცესშია და მიღება ჯერ არ დაწყებულა, არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილია 2025-2026 აკადემიური წლიდან, რადგან ახლად გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან გასული იყოს გარკვეული პერიოდი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით პროგრამის ყველა შედეგის სრულად შეფასება დაგეგმილია 2028-2029 სასწავლო წლის დასასრულს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ზემოაღნიშნული მეთოდოლოგია ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებულია 2020 წლიდან. შესაბამისად, უნივერსიტეტში უკვე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში 2020-2021 აკადემიური წლიდან მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების აღწერილი მეთოდოლოგიის მიხედვით შეფასება, შეფასების შედეგებზე დაკვირვება, ანალიზი, ანალიზის საფუძველზე საყურადღებო საკითხების გამოვლენა და რეაგირებები. დამადასტურებელი ანგარიშები წარმოდგენილია ევროპის უნივერსიტეტში უკვე მოქმედი სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მაგალითზე. მოიხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია სწავლის შედეგების მექნიზმები, წარმოდგენილი არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ უნარებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს სწავლის პერიოდში. სწავლის შედეგები მეტწილად შედგენილია არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებელის, სწავლის სფეროს სპეციფიკის, სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ დეტალური სფეროს შინაარსის (0222 ისტორია და არქეოლოგია“) მიხედვით და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - „არქეოლოგიის ბაკალავრი“. პროგრამის შედეგების შემუშავებაში ჩანს მონაწილე და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების გაცნობას დაინტერესებული საზოგადოებისათვის. საბაკალავრო და პროგრამების სწავლების შედეგები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებით. შედეგებში. პროგრამის ოხედვით წარმოდგენილ სწავლის შედეგებში დასაზუსტებელია და პრგრამისა შედეგებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, რათა

კურსადმთავრებულმა შეძლოს შეძლონ ფუნქციონირება საერთაშორისო გარემოში და ასახონ ის უნარები, რომელთაც პროგრამა გამოუმუშავებს კურსდამთავრებულებს, რათა მოამზადოს ისინი პროფესიული თუ აკადემიური კარიერისთვის, ასევე შესაბამისობაში მოვიდეს სწავლის შედეგად მიღებული ცოდნის კავშირი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან; პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს უნარებს, რომლებსაც პროგრამა ავითარებს, რათა მოამზადოს კურსდამთავრებულები აკადემიური კარიერისა და დამსაქმებელთა საჭიროებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - ევროპის უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება მის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მი-საღწევად. სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 4 სემეტრს, ხოლო მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად: სავალდებული თავისუფალი კომპონენტი - 29 ECTS კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 155 ECTS კრედიტი, მათ შორის არქეოლოგიური პრაქტიკა 12 ECTS კრედიტი და საბაკალავრო ნაშრომი 7 ECTS კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 31 ECTS კრედიტი; არჩევითი თავისუფალი კომპონენტი - 25 ECTS კრედიტი.

ანალიზი - ევროპის უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. საქართველოს

უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და რესურსები მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის ინდივიდუალურობას, სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან – არქეოლოგიის ბაკალავრო. პროგრამის სტრუქტურაში მეტწილად ასახულია სფეროს თანამედროვე მიღწევები. პროგრამა ასევე ინტერდისცილინურია და გულისხმობს ისეთი სასწავლო კურსების სწავლებას, რომლებიც კურსდამთავრებულს მისცემს საშუალებას არქეოლოგიური კვლევისას გამოიყენოს მიღებული ცოდნა მომიჯნავე და დამხმარე დისციპლინებში.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი მოიცავს 155 ECTS კრედიტს, მაგრამ აქ უშუალოდ არქეოლოგიის სფეროს სწავლებისათვის გათვალისწინებულია 13 სასწავლო კურსი 60 ECTS კრედიტის მოცულობით. დანარჩენი სასწავლო კურსები წარმოადგენენ არქეოლოგიის დამხმარე და მომიჯნავე დისციპლინებს და ეს იმ დროს, რომ ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების მოცულობა კვალიფიკაციიაზე გასასვლელად უნდა შეადგენდეს 120 ECTS კრედიტს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებში შეტანილი არის დარგისათვის მნიშნელოვანი ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: წყალქვეშა არქეოლოგია, ბიბლიური არქეოლოგია, ქრისტიანული არქეოლოგია და არქეომეტრია, რომლებიც არქეოლოგიის კვალიფიკაციის დაუფლებისათვის აუცილებელია. პროგრამის სტრუქტურა გადატვირთულია მომიჯნავე და დამხმარე ისტორიული დისციპლინების სასწავლო კურსებით, რომელთა ნაწილი თავისუფლად შეიძლება გადატანილი იქნეს არჩევით სასწავლო კურსებში, რადგან პირდაპირ არ გადიან პროგრამის სწავლის შედეგებზე. ზოგიერთი სასწავლო კურსი, მაგალითად, კლასიკური ენები, ეთნოლოგიის საფუძვლები, ქართული ნუმიზმატიკა, წინარე ქრისტიანული ხანის ტორევტიკა, ისტორიული და პრაქტიკული ანთროპოლოგია, წინარექრისტიანული ხანის გლიპტიკა და სხვა, საერთოდ არ არის ასახული პროგრამის სწავლის შედეგებში.

ევროპის უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება მის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მი-საღწევად. წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამის სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი მოიცავს 155 ECTS კრედიტს, მაგრამ აქ უშუალოდ არქეოლოგიის სფეროს სწავლებისათვის გათვალისწინებულია 13 სასწავლო კურსი 60 ECTS კრედიტის მოცულობით. დანარჩენი სასწავლო კურსები წარმოადგენენ არქეოლოგიის დამხმარე და მომიჯნავე დისციპლინებს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი სასწავლო კურსებში გათვალისწინებული იყოს ისეთი საკითხები, რომლებიც გაამლიერებს დარგობრივ კომპეტენციებს. მაგალითად საგანი პროექტის მართვა არ მოიცავს კულტურის სფეროს ან კულტურული მემკვიდრეობის პროექტების მართვის საკითხებს, არქეოლოგია ეს არის კულტურის სფეროს ერთ ერთი ფუნდამენტური მიმართულება და აუცილებელია გათვალსიწინებული იყოს სფეროს დარგობრივი მახასიათლებლები და თავისებურებები.

წარმოდგენილი სილაბუსების აღწერილობისა და შინაარსის შედეგების მიხედვით, სავალდებულო კურსები ემსახურება ცოდნის, აღქმისა და უნარების გაზრდა/გაუმჯობესებას. მიზანშეწონილია, არსებობდეს მკაფიო კავშირების უზრუნველყოფა პროგრამის სწავლის შედეგებსა და კონკრეტული კურსების სწავლის შედეგებს შორის. შესაბამისად, უმჯობესია, რომ სწავლის შედეგები და სასწავლო კურსები ერთმანეთთან და პროგრამის შედეგებთან მიმართებაში თანმიმდევრული იყოს. პროგრამის სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს უნარებს, რომლებსაც პროგრამა ავითარებს, რათა მოამზადოს კურსდამთავრებულები აკადემიური კარიერისა და დამსაქმებელთა საჭიროებისათვის.

სასწავლო კურსების დაგეგმვისას აუცილებელია გათვალისწინებული იყოს არჩევით დისციპლინათა შინაარსობრივი კავშირი პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და სასწავლო კურსების მომზადებისას გათვალისწინებული იყოს როგორც პროგრამის მიზნები, ისე შედეგები, მაგალითად ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: ბიბლიური არქეოლოგია, ქართული დიპლომატიის ისტორია, საქართველოს სამხედრო ისტორია საერთოდ არ არის ასახული პროგრამის სწავლის შედეგებში.

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შედეგები ქმნიან პროგრამების სწავლის საბოლოო შედეგებს. სასწავლო კურსების დიდი ნაწილის შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებზე, მაგრამ მნიშვნელოვანია გადაიხედოს თანამედროვე მკვლევართა კვლევები და გამოცემები.

სასწავლო კურსის „არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვა და კონსერვაცია“ მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი არ შეესაბამება სათაურს. ეს სასწავლიო კურსი ძირთადად ითვალისწინებს სამუზეუმო საქმის საფუძვლების შესწავლას და შინაარსში საერთოდ არ არის თემები, რომლებშიც საუბარია არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვასა და კონსერვაციაზე, რომლიც მეტ წილად იმეორებს სასწავლო კურსის „მუზეუმთმცოდენობა“თემებს და და ლიტერატურას.

ძირითადი საგნების, (სპეციალობის მოდულის) სილაბუსებით წარმოდგენილი სასწავლო კურსის შინაარსებში, აუცილებელია განისაზღვროს სასწავლო კურსის მეთოდები, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც სრულიად უნიფიცირებულად უნდა იყოს წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში გადატანილი იქნეს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტიდან შემდეგი სასწავლო კურსები: წყალქვეშა არქეოლოგია, ბიბლიური არქეოლოგია, ქრისტიანული არქეოლოგია და არქეომეტრია;
2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტში შემავალი სასწავლო კურსები: მაგალითად, კლასიკური ენები, ეთნოლოგიის საფუძვლები, ქართული ნუმიზმატიკა, წინარე ქრისტიანული ხანის ტორევტიკა. ისტორიული და პრაქტიკული ანთროპოლოგია, წინარექრისტიანული ხანის გლიპტიკა;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსების შედეგები გადაიხედოს და შეჯერდეს პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან და პრაქტიკულ უნარებთან მიმართებაში.
4. რეკომენდებულია გადაიხედოს სავალდებულო სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურათა ჩამონათვალი და დაემატოს თანამედროვე ავტორები და გამოცემები;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა;
- სასურველია პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკის კომპონენტში მომზადდეს პრაქტიკის დეტალური აღმწერი და თანამშრომლობის მახასიათებელი;

- სასურველია წარმოდგენილი იყოს მემორანდუმებში დეტალურად პროგრამით გათვლისწინებული შედეგების აღმწერი და თანამშრომლობის შინაარსი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - ევროპის უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში დაჯგუფებული სასწავლო კურსების შინაარსი აღწერილია შესაბამის სილაბუსებში. სასწავლო კურსების სილაბუსები შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავენ შემდეგ კომპონენტებს: სასწავლო კურსის სახელწოდება, პროგრამის დასახელება, ფაკულტეტი. სწავლების საფეხური, სწავლების სემესტრი, სასწავლო კურსის ლექტორ(ებ)ი; სასწავლო კურსის სტატუსი, სასწავლო კურსის მიზანი, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, დაშვების წინაპირობები, მიზნები, სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები, შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები, ადმინისტრაციული შენიშნები, სავალდებუ;ლო ლიტერატურა, დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, სასწავლო კურსის შინაარსი. სასწავლო კურსების შინაარსი, კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები, სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, კურსის სპეციფიკას, შინაარს და სწავლის მეთოდებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და სფეროს მიღწევებს, თუმცა ზოგიერთ სილაბუსში საჭიროა ლიტერატურის განახლება.

სილაბუსების ნაწილში - ლიტერატურის ჩამონთავალი არ არის დანომრილი, ლექციათა მასალის ნაწილში მითეთებულია მხოლოდ გვერდები და ნუმერაცია, შესაბამისად ბუნდოვანია რომელილექციისას რა ლიტერატურა გამოიყენება. (მაგალითად დიპლომატიის ისტორია).

ანალიზი - არქეოლოგიის საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შედეგები ქმნიან პროგრამების სწავლის საბოლოო შედეგებს. სასწავლო კურსების დიდი ნაწილის შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი საათების თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის

სპეციფიკას, შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის შეფასების ფორმების, მეთოდების და კრიტერიუმების მეშვეობით ფასდება თითოეული სწავლის შედეგი. საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია დარგში არსებულ თანამედროვე მიღწევებზე. მაგრამ სასწავლო კურსებთან მიმართებაში გამოიკვეთა გარკვეული შენიშვნები.

სასურველი იქნებოდა, რომ სასწავლო კურსების: „საქართველოს ისტორია I, II და III“ დასახელებაში დაკონკრეტებული ყოფილიყო საქართველოს ისტორიის ცალკეული შესასწავლი მონაკვეთის ქრონოლოგიური ჩარჩო, რათა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს ის პერიოდები, რომელთა შესწავლას გულისხმობს კონკრეტული სალექციო კურსი. სასწავლო კურსის სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში პირველ ნომრად მითითებულია საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, რომელიც 1970 წელსაა გამოცემული. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმძღვანელო დღემდე არ კარგავს თავის აქტულობას, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მოგვიანებით გამოცემული საკმაოდ ბევრი საქართველოს ისტორიის სახელმღვანელოები, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში. მაგალითად: საქართველოს ისტორია, თსუ გამომცემლობა, თბ. 2006 წ; თ. ბერაძე, მ. სანაძე, საქართველოს ისტორია, თბ. 2003 წ; საქართველოს ისტორია, ტ. I (უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე), დავით მუსხელიშვილის რედაქციით, თბ. 2012 და სხვ.

სასწავლო კურსი „არქეოლოგიის საფუძვლები“ მიზანში მითითებულია, რომ სტუდენტს უნდა მისცეს ფართო ცოდნა არქეოლოგიის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესახებ; გააცნოს დარგის არსი და მისი მნიშვნელობა წარსულში მიმდინარე მოვლენების რეკონსტრუირების პროცესში; შეასწავლოს საველე და ლაბორატორიული კვლევების უახლესი სტანდარტები და მეთოდები; ჩამოუყალიბოს არქეოლოგიურ არტეფაქტებზე მუშაობის უნარ-ჩვევები“. აღსანიშნავია, რომ მიზანი, სწავლების შედეგები და შინაარსი მხოლოდ ნაწილობრივ არის ერთნამეთთან კორელაციაში. მაგალითად, სწავლების შედეგებში წერია, რომ სტუდენტი ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას დარგობრივ სფეროში, მაგრამ არ ჩანს რომელი თემა ასწავლის არქეოლოგიურ ტერმინოლოგიას. შედეგში წერია, რომ სტუდენტი განსაზღვრავს მატერიალური კულტურის არსსა და მნიშვნელობას, მაგრამ შინაარსში არ ჩანს ანალოგიური თემა. პირველი თემა ეხება არქეოლოგიის ისტორიას, რაც არის ასახული არც მიზნებში და არც შედეგებში. მეორე თემა ასახავს არქეოლოგიის საგანსა და ამოცანებს და პერიოდიზაციის საკითხებს, რაც ასევე არ არის ასახული მიზნებსა და შედეგებში. მესამე თემა ეხება სამყაროს დიდი ცივილიზაციების წარმოშობის პირობებს და გავლენებს დანარჩენ სამყაროზე, რაც ასევე არ არის ასახული მიზნებსა და შედეგებში. აქვე საუბარია სამშენებლო ხელოვნების წარმოშობასა და არქეოლოგიის დამხმარე დისციპლინებზე, რაც ასევე არ არის ასახული მიზნებსა და შედეგებში. მეოთხე თემაშია საუბარი ტაძარსა და საკურთხეველზე და ჭურჭლის ტიპებზე, სხვაგან არსად არ ჩანს არქეოლოგიური წყაროების სხვა სახეობები. მეხუთე თემაში ისწავლება ანალიზის მეთოდოლოგია - ნივთი და კონტექსტი, არქეოლოგიური ველი და სტრატიგრაფია. არქეოლოგიური კვლევის სხვა ასპექტები და მეთოდები არც ერთ სხვა თემაში არ არის ასახული. სილაბუსის დანარჩენი ნაწილი ეხება კაცობრიობის ისტორიის ცალკეული საფეხურების მიმოხილვას უძველესი დროიდან შუა საუკუნეების ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ ამ დროს აქ განხილული თემები მეორდება სხვა სილაბუსებში. მაგალითად, მეექვსე და მეშვიდე თემაში საუბარია ადამიანის უძველესი ისტორიის საფეხურებზე ნეოლითიდან ენეოლითამდე და ამ პერიოდის არქეოლოგიურ კულტურებზე. იგივე თემატიკა ისწავლება სასწავლო კურსში „პრეისტორიული ხანის არქეოლოგია“ - თემა 4-5-6-7 - იგივე თემებია განხილული სასწავლო კურსში „კავკასიის არქეოლოგია“ თემა - 3 და ნაწილობრივ თემა -5. სავალდებულო ლიტერატურაც ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს. მეცხრე თემაში საუბარია მტკვარ-არაქსის და თრიალეთის კულტურაზე და იგივე თემატიკაზეა საუბარი სასწავლო

კურსში „პრეისტორიული ხანის არქეოლოგია“ , თემები 9-10-11-12-13-14 და სასწავლო კურსში „კავკასიის არქეოლოგია“, თემები 6-7-10-11-12. აქაც სავალდებულო ლიტერატურა ნაწილობრივ მეორდება. მეათე თემაში განხილულია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კულტურა და იგივე თემატიკა მეორდება სასწავლო კურსში „პრეისტორიული ხანის არქეოლოგია“, თემები 15-16 და საწავლო კურსში „კავკასიის არქეოლოგია“, თემები 14-16.

სასწავლო კურსის „ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციები“ სილაბუსში ფაილზე გარეთ სათაურად მითითებულია ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციები, ხოლო შიგნით კი სასწავლო კურსის დასახელებად აღნიშნულია „ძველი აღმოსავლეთის ისტორია“.

სასწავლო კურსში „ქართული ნუმიზმატიკა“ სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია დ. კაპანაძეს მონოგრაფია „ქართული ნუმიზმატიკა“ თბ. 1969. მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი დღემდე არ კარგავ თავის აქტუალობას, სასურველია, რომ სილაბუსში მითითებული იყოს შედარებით ახალი სახელმძღვანელოები, მაგალითად: დუნდუა თ. დუნდუა გ. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. თბ. 2013; დუნდუა, გ; დუნდუა თ., „ქართული ნუმიზმატიკა“ I ნაწილი; თბილისი. 2006. დუნდუა, გ. დუნდუა თ. „ქართული ნუმიზმატიკა“ II ნაწილი; თბილისი. 2006 და სხვა.

სასწავლო კურსის „არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვა და კონსერვაცია“ მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი არ შეესაბამება სათაურს. ეს სასწავლიო კურსი ძირთადად ითვალისწინებს სამუზეუმო საქმის საფუძვლების შესწავლას და შინაარსში საერთოდ არ არის თემები, რომლებშიც საუბარია არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვასა და კონსერვაციაზე.

ზოგიერთ სილაბუსებში ფიქსირდება გარკვეული, ზოგჯერ ტექნიკური ხასიათის უზუსტობები. სასწავლო კურსში „ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის არქეოლოგია“ ორ პუბლიკაციას აკლია გამოცემის წელი. სასწავლო კურსში „პრეისტორიული ხანის არქეოლოგია“ დასაზუსტებელია IX სალექციო თემაზე მითითებული ლიტერატურის გვერდები. ამავე სასწავლო კურსში დასაზუსტებელია XVI სალექციო თემა;

სასწავლო კურსი „პრეისტორიული ხანის არქეოლოგია“ გულისხმობს ორი ეპოქის ქვის- და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის სწავლებას ერთი კურსის ფარგლებში. მიუხედავად იმისა რომ, კურსს უძღვება ორივე ამ ეპოქის კვალიფიციური სპეციალისტი, ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ეპოქის სწავლება ერთი კურსის ფარგლებში გაუმართლებლად მიგვაჩნია. აღსანიშნავია, რომ სხვა ეპოქების შესწავლას სათანადო და ჩვენის აზრით სწორად განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა აქვს დათმობილი. ანტიკური ხანა დაყოფილია ორ სასწავლო კურსად („ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის არქეოლოგია“ და „რომაული ხანის არქეოლოგია“) შუასაუკუნეების შესახებ კი წარმოდგენილია ორი სასწავლო კურსი „შუასაუკუნეების არქეოლოგია“ და „ქრისტიანული არქეოლოგია“.

სასწავლო კურსში ეკონომიკის ისტორია პრეისტორიული ხანის ეკონომიკას ეთმობა მხოლოდ II ლექცია და ნაწილობრივ IV ლექცია. საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების შესწავლა მათი ეკონომიკური საფუძვლის კვლევის გარეშე შეუძლებელია. ნებისმიერი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურის, წარმოშობის გავრცელების და დაღმავლობის ან სხვა კულტურაში ტრანსფორმაციის პროცესი ხშირად ეკონომიკური საფუძვლით აიხსნება. ასეთი საკითხების გამიზნულად ეკონომიკის კუთხით შესწავლა არქეოლოგიის პროგრამისთვის სასურველი იქნებოდა.

სასწავლო კურსში „მსოფლიო სავაჭრო-საქარავნო გზები და საქართველო“ სალექციო თემატიკა იწყება სასანური ირანის პერიოდიდან, შემდგომი თემა უკვა არაბების ეპოქაა. სასურველი იქნებოდა სასწავლო კურსში განხილული ყოფილიყო უფრო ადრეული ეპოქებიც. ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური კულტურების წარმოშობა, ტერიტორიული გავრცელება და კულტურის „დაცემა“ სწორედ სავაჭრო გზებს, მათი მარშუტის ცვლილებებს უკავშირდება. ძველი აღმოსავლეთის ისტორიიდან ამის უამრავი მაგალითი არსებობს. მაგალითად ქრ. შ. მდე XX-XIX საუკუნეებში ცენტრალურ ანატოლიაში არსებობდა ასურული სავაჭრო კოლონიების ქსელი. სავაჭრო ქარავნები გადაადგილდებოდა დაახლოებით 1000 კმ. მანძილზე ასურიდან ანატოლიისკენ და პირიქით. ამერიკელი მეცნიერის კ. რუბინსონის

აზრით ამ სისტემასთან სავარაუდოდ დაკავშირებული იყო ასე სამხრეთ კავკასიის რეგიონებიც. ამ აზრის იზიარებენ ქართველი მეცნიერებიც. ამ სავაჭრო გზის მოშლას, როგორც ჩანს, გავლენა ჰქონდა სამხრეთ კავკასიის მაშინდელი საზოგადოების განვითარებაზე. მსგავსი საკითხების განხილვა გაამარტივებდა პრეისტორიული არქეოლოგიური კულტურების რაობის გაგებას. სასურველი იქნებოდა პრეისტორიული ხანის სავაჭრო გზების საკითხის განხილვაც კავკასიასთან დაკავშირებით.

არქეოლოგიის პროგრამაში მნიშვნელოვანია პრაქტიკის კომპონენტი რომელიც არქეოლოგიურ დაზვერვებს და არქეოლოგიურ გათხრებს გულისხმობს. აქედან პირველი კვლევის არადესტრუქციული მეთოდია, მეორე კი - დესტრუქციული. ის განხორციელების პროცესში არქეოლოგიური ძეგლის მთლიან ან ნაწილობრივ გათხრას/დანგრევას გულისმობს. არქეოლოგიური ძეგლი გათხრების შემდეგ თავდაპირველი სახით აღარ იარსებებს. დარჩება მხოლოდ გათხრების პროცესში მკვლევარების მიერ მიღებული ცოდნა და მათ მიერ შედგენლი საველე დოკუმენტაცია. მისი სრულყოფილება კი რამდენიმე სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორზეა დამოკიდებული.

თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო ხშირად გხვდება რეკომენდაციები იმის შესახებ, რომ არქეოლოგიური გათხრები უნდა განხორციელდეს მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობის დროს, როდესაც არქეოლოგიურ ძეგლს სხვადასხვა მიზეზით დანგრევა ემუქრება ან არსებობს მაღალი სამეცნიერო ინტერესი კონკრეტული სამეცნიერო პრობლემის შესასწავლად.

ასეთ რეკომენდაცია გხვდება მაგალითად ICOMOS ის **არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის და მართვის ქარტიაში. (ლოზანა 1990. Charter for the Protection and Management of the Archaeological Heritage).** ხოლო **არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის ევროპულ კონვენციაში (ვალეტა. 1992. European Convention on the Protection of the Archaeological Heritage)** გხვდება რეკომენდაცია კვლევის უსაფრთხო მეთოდების გამოყენების შესახებ და სხვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ კონვენციას და ქარტიას საქართველო მიერთებულია, ხოლო ზოგ შემთხვევაში არა. თუმცა, ზოგადად ბოლო დროის ტენდენცია არქეოლოგიური მემკვიდრეობის მიმართ დამოკიდებულის შესახებ ნათელია.

აქედან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა უპირატესობის მინიჭება კვლევის არადესტრუქციული მეთოდებისთვის. არქეოლოგიური დაზვერვები, დისტანციური ზონდირება, არქეოლოგიური რუკის შედგენა და ა.შ.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ უნივერსიტეტის არქეოლოგების ჯგუფის მიერ დღემდე განხორციელებული საველე არქეოლოგიური კვლევები შეეხო მხოლოდ იმ ძეგლებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზით დანგრევა ემუქრებოდათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არქეოლოგია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „საქართველოს ისტორია I" მითითებული სავალდებულო ლიტერატურა საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ. 1970, ჩანაცვლდეს ახალი სახელმძღვანელოებით;
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „არქეოლოგიის საფუძვლების" მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი მოყვანილი იქნეს ერთმანეთთან კორელაციაში;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „არქეოლოგიის საფუძვლები", „პრეისტორიული ხანის არქეოლოგია" და „კავკასიის არქეოლოგია" შეტანილი იქნეს ცვლილებები და ენელითიდან გვიანი ბრინჯაოს ხანის ჩათვლით თემატიკის გადაფარვა იქნეს გასწორებული;

4. რეკომენდებულია გასწორდეს სასწავლო კურსის „ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციები“ დასახელება სილაბუსში;
5. რეკომენდებულია განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა სასწავლო კურსში „ქართული ნუმიზმატიკა“;
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსის „არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვა და კონსერვაცია“ დასახელება, მიზანი, სწავლის შედეგები და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან კორელაციაში.
7. სასწავლო კურსი „პრეისტორიული ხანის არქეოლოგია“ ორ ნაწილად დაყოფა, რაც გულისხმობს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ეპოქის ქვის- და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის ცალე სასწავლო კურსებად ჩამოყალიბებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. უნივერსიტის მიერ განხორციელებულ არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს სასურველია ყურადღება უფრო გამახვილდეს კვლევების არადესტრუქციულ მეთოდებზე;
2. სასწავლო კურსში „ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის არქეოლოგია“ სასურველია სავალდებულო ლიტერატურის განახლება. სასურველია, მაგალითად საქართველოს ისტორიის ნარკვევები I. თბ. 1970 ის ამოღება და თანამედროვე ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს დამატება. ეს მინიშვნელოვანი იქნებოდა მაგალითად I-VII სალექციო თემებთან კავშირში;
3. სასწავლო კურსში „ეკონომიკის ისტორია“ სასურველი იქნებოდა უფრო მეტი დროის დათმობა პრეისტორიული ხანის თემატიკისთვის;
4. სასწავლო კურსში „მსოფლიო სავაჭრო-საქარავნო გზები და საქართველო“ სასურველი იქნებოდა პრეისტორიული ხანის განხილვაც;
5. სასწავლო კურსში წინარე „ქრისტიანული ხანის ტორევტიკა“ იმ სალექციო თემებში რომლებიც ეხება თრიალეთის კულტურის ტორევტიკის ნიმუშებს, სასურველია თუნდაც პარალელების სახით განხილულ იქნეს ასევე სომხეთში აღმოჩენილი ამავე კულტურის კუთვნილი ტორევტიკის ნიმუშებიც;
6. სასურველია სასწავლო კურსში „ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის არქეოლოგია“ სასურველია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის მონაცემების სრულყოფა.
7. სასურველია სასწავლო „კურსში პრეისტორიული ხანის არქეოლოგია“ დაზუსტდეს IX სალექციო თემაზე მითითებული ლიტერატურის გვერდები და XVI სალექციო თემა;
8. სასურველია ლიტერატურის ჩამონათვალის დანომვრა სასწავლო კურსში ქართული დიპლომატიის ისტორია;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა“

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - პროგრამის კურიკულუმის მიხედვით არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირი, რომელიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ევროპის უნივერსიტეტში. პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბაროს შემდეგი საგნები: ა) ქართულ ენა და ლიტერატურა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: 51%); ბ) უცხოური ენებიდან ერთ-ერთი შემდეგი ენა: ინგლისური ენა, გერმანული ენა, ფრანგული ენა, რუსული ენა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: 40%); გ) ერთ-ერთი შემდეგი საგანი: მათემატიკა/ისტორია/ლიტერატურა (აბიტურიენტმა უნდა გადალახოს კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მათემატიკაში, ხოლო ისტორიასა და ლიტერატურაში - 51%). თითოეული საგნისთვის განკუთვნილი ადგილების რაოდენობა არ უნდა იყოს პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების 10%-ზე ნაკლები. ზუსტი პროცენტული განაწილება განისაზღვრება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ადგილების გამოცხადებამდე.

პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოიპოვებენ: პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად.

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან: ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები. ევროპის უნივერსიტეტში სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად (დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 მარტის №92 ბრძანებით). ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა აკრედიტაციის პროცესშია და მიღება ჯერ არ დაწყებულა, არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დაგეგმილია 2025-2026 აკადემიური წლიდან, რადგან ახლად გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან გასული იყოს გარკვეული პერიოდი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით პროგრამის ყველა შედეგის სრულად შეფასება დაგეგმილია 2028-2029 სასწავლო წლის დასასრულს.

ანალიზი - ევროპის უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურების გამჭირვალე, სამართლიანი და ხელმისაწვდომია. წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ლოგიკურადაა დაკავშირებული სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან. წინაპირობები განსაზღვრავს ევროპის უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველი აბიტურიენტისათვის საკმაოდ მაღალი მინიმალური კომპეტენციის ზღვარს - ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში და ლიტერატურაში 51%, ხოლო უცხო ენაში 40%, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე საკმაოდ მაღალი ცოდნის მქონე სტუდენტების ჩარიცხვას, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა მაღალი კვალიფიკაციის კადრების მომზადებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- ხელშეკრულებები და მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

აღწერა - თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას პროგრამის ცალკეული კომპონენტებისა და სასწავლო კურსების ფარგლებში კონკრეტული დავალებების შესრულების გზით. არქეოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი სპეციფიური უნარების განვითარებისათვის სასწავლო კურსებში გამოიყენება შემდეგი აქტივობები: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია/დებატები, სავარჯიშოებზე მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, ელექტრონული რესურსით სწავლება, პროექტის მომზადება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება და ა. შ. პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება პროგრამის ისეთი სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი, როგორიცაა „საველე არქეოლოგიური პრაქტიკა“, რომლიც გათვალისწინებულია სამი სემესტრის განმავლობაში. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება უზრუნველყოფილია ევროპის უნივერსიტეტის ბაზაზე (აკად. ანდრია აფაქიძის სახ. არქეოლოგიის ინსტიტუტის, ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი) არსებული მუდმივმოქმედი ექსპედიციების მეშვეობით. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით ამასთანავე პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი 5 ორგანიზაციასთან: აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო: სსიპ თელავის ისტორიული მუზეუმი; ა(ა)იპ რუსთავის ისტორიული მუზეუმი; სსიპ აჭარის მუზეუმი; სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. მემორანდუმებით განისაზღვრება სემესტრის/აკადემიური წლის განმავლობაში პრაქტიკის ობიექტზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და მხარეთა ვალდებულებები (იხ. ორგანიზაციებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები), რის საფუძველზეც შეფასებულია არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის პროფესიული პრაქტიკის კომპონენტის სრულფასოვნად უზრუნველყოფის შესაძლებლობა. პროფესიული პრაქტიკა სრულდება და ფასდება „საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესი“-თ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №309 ბრძანებით) დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და პრაქტიკის სილაბუსებით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით.

სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება სასწავლო კურსებში (აკადემიური წერა, კვლევითი კომპონენტი) გამოყენებული ასევე შემდეგი აქტივობები: წიგნზე (წყაროზე) მუშაობა და წერითი მუშაობა, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცია/რეცენზირება, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა ინფორმაციის, მონაცემების მოპოვების, დამუშავების, ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარების განვითარებს. ამ თვალსაზრისით მნიშნელოვანი კომპონენტია ასევე საბაკალავრო ნაშრომის შესრულება და დაცვა, საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში ბაკალავრის მიერ შესრულებულ მოკლე კვლევითი ხასიათის ნაშრომს, რომელიც აჯამებს ბაკალავრის კვლევით უნარებს, წარმოაჩენს სტუდენტის მიერ კვლევის განხორციელების, კვლევითი ხასიათის ტექსტის მომზადების, გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარებს. საბაკალავრო ნაშრომი სრულდება ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი“-თ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №308 ბრძანებით) დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტი მუდმივად ატარებს სტუდენტურ კონფერენციებს, მაგალითად, 2022 წლის 25 ივნისს ევროპის უნივერსიტეტმა მე-8 სტუდენტური კონფერენცია ჩაატარა:

https://eu.edu.ge/ge/news/1839-evropis-universitetis-samartlis-ganatlebis-biznesisa-dateknologiebis-pakultetis.

ანალიზი - არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება სწავლების საფეხურს. პრაქტიკასა და სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც ასევე აფასებს სტუდენტის საქმიანობას; პრაქტიკის ობიექტებთან, დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ხელს უწყობს პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტები ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის დასაწერად საჭირო კომპეტენციების გამომუშავებას და დონის შესაბამისი კვლევითი უნარების განვითარებას.

საკვალიფიკაციო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების გამომუშავებისათვის ხდება უნივერსიტეტის არქეოლოგიური მუზეუმის ფონდებში დაცულ კოლექციებზე მუშაობა და მათზე ჩატარებული კვლევა, რაც სტუდენტს უყალიბებს სხვადასხვა სახის მონაცემთა დამუშავების, ინტეგრირების, ანალიზის, ინტერპრეტაციის უნარს.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით არქეოლოგისათვის საჭირო პრაქტიკული უნარების გამომუშავებას ემსახურება სასწავლო კურსი - არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვა და კონსერვაცია. აღვნიშნავთ, რომ ზემოხსენებული სასწავლო კურსის შინაარსი არ შეესაბამება დასახელებას. ის ძირითადად ეხება სამუზეუმო საქმის საფუძვლებს და მასში საერთოდ არ არის თემები, რომლებიც კონცენტრირებულია არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვასა და კონსერვაციაზე. თვითშეფასების ანგარიშში ასევე მითითებულია, რომ საველე ექსპედიციაში გატარებული 240 საათი ხელს შეუწყობს სხვა სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას. მაგრამ შევნიშნავთ, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს ისეთი მნიშვნელოვანი სასწავლოს კურსის სწავლებას, როგორიცაა არქეოლოგიური კვლევის მეთოდიკა, შესაბამისად, არქეოლოგისათვის საჭირო პრაქტიკული უნარების დიდი ნაწილის გამომუშავება უნდა მოხდეს მხოლოდ ველზე პრაქტიკული მუშაობისას თეორიული მომზადების გარეშე, რაც საკმაოდ გაართულებს დასახული ამოცანის შესრულებას. მითითებულია, რომ კვლევის მეთოდების სასწავლო კურსში შეტანილი აქტივობები ემსახურება სტუდენტის კვლევითი უნარების განვითარებას. თუმცა აღნიშნული სასწავლო კურსი ითვალისწინებს სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდების საბაზისო თეორიული ცოდნის სწავლებას და არქეოლოგისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ათვისებას არ ემსახურება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაში შეტანილი იქნეს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებისათვის ისეთი მნიშნელოვანი სასწავლო კურსი, როგორიცაა არქეოლოგიური კვლევის მეთოდიკა. ეს სასწავლო კურსი რეკომენდირებულია პროგრამაში წინ უსწრებდეს „საველე-არქეოლოგიური პრაქტიკის“ პირველ ნაწილს. რეკომენდებულია ამ კურსს უძღვებოდეს საველე-არქეოლოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელი ან ის აკადემიური პერსონალი რომელიც აქტიურადაა ჩართული უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ პრაქტიკაში.

- რეკომენდებულია სასწავლო კომპონენტის „საველე-არქეოლოგიური პრაქტიკა“ რომელიც სამ ნაწილადაა დაყოფილი ორ ნაწილად გაერთიანება. ან მოიძებნოს არქეოლოგიის პროგრამისთვის სხვა მისაღები ფორმა, რომელიც უზრუნველყოფს არქეოლოგიური გათხრების და არქეოლოგიური დაზვერვების პრაქტიკის განხორციელებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით და არა მისგან განცალკევებით. რეკომენდებულია ამავე სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში მიეთითოს ლიტერატურა რომლის საფუძველზეც რომლის საფუძველზეც ხორციელდება სილაბუსში აღნიშნული „ძირითადი მეთოდების და წესების ახსნა“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☐	☒	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა - პროგრამის კურიკულუმის მიხედვით სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია, ახსნა-განმარტება, ინტერაქტიული მუშაობა, აუდიო-ვიზუალური მუშაობა, დემონსტრირება, პრაქტიკული მუშაობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, გონებრივი იერიში, დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. ჯგუფური მუშაობა, სავარჯიშოებზე მუშაობა, შემთხვევის შესწავლა, სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა, დავალებაზე დაფუძნებული სწავლება, წიგნზე (წყაროზე) მუშაობა, წერითი მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება, პრეზენტაცია, პროექტის მომზადება და/ან პროექტზე დაფუძნებული სწავლება. შედარებით-ისტორიული ანალიზი, შედარებით-აქრეოლოგიური ანალიზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი.

ანალიზი - საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო კურსის/საგნის სწავლება-სწავლის მეთოდები აქტივობები განსაზღვრულია სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს, სწავლის შედეგებს და არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებელის მოთხოვნებს. პროგრამაში გამოყენებული სწავლება. სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სათანადო ავტონომიურობით და პასუხისმგებლობით, პერსონალსა და სტუდენტებს, ასე

სტუდენტებს შორის ინტერაქციას. სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სწავლის პროცესში სტუდენტის მონაწილეობას სათანადო და მიმართულია სტუდენტის მიერ დარგობრივი და ტრანსფერული უნარების განვითარებისაკენ. სასწავლო კურსების/საგნების სილაბუსში გაწერილი სწავლება-სწავლის მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.
თუმცა ასევე აღსანიშნავია, რომ სწავლა-სწავლების მეთოდებში დასახელებულია ლექცია, რომელიც წარმოადგენს არა მეთოდს, არამედ სწავლების ფორმატს.
არქეოლოგიის პროგრამაში სასწავლო კომპონენტი „საველე-არქეოლოგიური პრაქტიკა" დაყოფილია სამ ნაწილად. ის გათვალისწინებულია შესაბამისად მეოთხე, მეექვსე და მერვე სემესტრებში. პრაქტიკის პირველი ნაწილი გულისხმობს არქეოლოგიურ დაზვერვებს, მეორე ნაწილი არქეოლოგიურ გათხრებს, ხოლო მესამე ნაწილი-თანამედროვე ტექნოლოგიების შესწავლას. აღნიშნული დაყოფა ხელოვნურ ხასიათს ატარებს, როგორც არქეოლოგიური დაზვერვების ასევე გათხრების განხორციელება თანამედროვე ტექნოლოგიებს გამოყენების გარეშე შეუძლებლად გვეჩვენება. ამავე დროს სილაბუსებში არ არის მითითებული შესაბამისი ლიტერატურა. სამივე სილაბუსში აღნიშნულია რომ: „ძირითადი მეთოდებისა და წესების ახსნა უშუალოდ ხორციელდება საველე არქეოლოგიური და კამერალური სამუშაობის წარმართვის პროცესში". აღნიშნული ფრაზა ბუნდოვანია და გაურკვეველი რჩება რომელი მეთოდების და წესები იგულისხმება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების სისტემა ეყრდნობა „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ"

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანებას (05/01/2007) და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ შიდა დოკუმენტებს.

სასწავლო კურსები ფასდება 100 ქულიანი სისტემით და შეფასების კრიტერიუმები მოცემულია თითოეული კურსის სილაბუსში. ის ითვალისწინებს დადებითი სახის ხუთ და უარყოფითი სახის ორ შეფასებას.

დადებითი:
- A ფრიადი (91-100),
- B ძალიან კარგი (81-90),
- C კარგი (71-80),
- D დამაკმაყოფილებელი (61-70),
- E საკმარისი (51-60)

უარყოფითი:
- FX ვერ ჩააბარა (41-50),
- F ჩაიჭრა (<40)

სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილია ის სასწავლო კომპონენტები, რომელთა მიხედვითაც სტუდენტი ფასდება. აღნიშნული ინფორმაცია გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია თითოეული სტუდენტისთვის. კომპონენტები და საბოლოო შეფასებაში მათი ხვედრითი წილი გამომდინარეობს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან. მიმდინარე და საბოლოო შეფასების შესახებ სტუდენტებს ინფორმაცია მიეწოდებათ სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის პორტალის https://eunsis.eun.edu.ge-ს მეშვეობით, ამავე პლატფორმაზე ხელმისაწვდომია სილაბუსები და მათში არსებული ინფორმაცია სასწავლო კომპონენტების შესახებ.

საგამოცდო პროცესი მიმდინარეობს უსდ-ს „საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესის“ მიხედვით, რომლითაც რეგულირდება გამოცდის ჩატარების, ნაშრომთა გასწორების და შედეგების გასაჩივრების პროცედურები. სტუდენტთა საგამოცდო ნაშრომები შემფასებლისთვის ანონიმურია, ვინაიდან სახელი და გვარი დაშიფრულია. ამ გზით უზრუნველყოფილია დაწერილი შეფასების ობიექტურობა. სტუდენტებს შეუძლიათ მიღებული შეფასების გასაჩივრება, რისი წესიც და პროცედურებიც ასევე გაწერილია ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტში და როგორც ინტერვიუებისას გაირკვა, სტუდენტები სათანადოდ იცნობენ აღნიშნულ პროცედურებს და მათ აღსრულებას ისინი დადებითად აფასებენ. იმ სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, რომელთაც სწავლა Covid-19-ის პანდემიის პირობებში მოუწიათ, დისტანციური საგამოცდო და სასწავლო პროცესი ხარისხისა და კეთილსინდისიერების დაცვის კომპონენტებში დადებითად შეაფასეს.

არქეოლოგიის სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო პროგრამა ასევე მოიცავს პრაქტიკის კომპონენტსაც. აღნიშნული კომპონენტის შეფასება რეგულირდება „საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულების და შეფასების წესის“ და საველე პრაქტიკის სილაბუსების მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტიც და საგნის სილაბუსიც ხელმისაწვდომია სტუდენტისთვის.

საბაკალავრო ნაშრომების შესრულების პროცესის ზედამხედველობა და საბოლოო ნაშრომთა შეფასება ხორციელდება „საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესის“ მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ნაშრომის შუალედური შეფასება გამომდინარეობს რეცენზენტისა და ხელმძღვანელის შეფასებების ჯამიდან, ხოლო დასკვნითი შეფასება ხორცილედება საბაკალავრო ნაშრომის კომისიის წინაშე დაცვის შედეგად. შეფასების კომპონენტები

მოცემულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში და ისინი ობიექტური, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია თითოეული სტუდენტისთვის.

„საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი“ სათანადოდ განსაზღვრავს ნაშრომის ხელმძღვანელის მოვალეობებს, მათი დამტკიცების წესს, ნაშრომის შეფასების პრინციპებსა და პროცედურებს, კომისიის შემადგენლობას და მათ მიერ ნაშრომის შეფასების წესს. ასევე, აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების წესები, Turnitin-ის გამოყენებით პლაგიატზე მისი შემოწმების და რეფერირების APA სისტემის გამოყენების ვალდებულებები. მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ ისინი სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულები აღნიშნული პროცედურებისა და წესების შესახებ და ასევე დადებითად შეაფასეს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილება.

უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა ცალკე დოკუმენტადაცაა ჩამოყალიბებული „ევროპის უნივერსიტეტის პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმების“ სახით და საჯაროდაა ხელმისაწვდომი უსდ-ს ვებგვერდზე. პლაგიატთან საბრძოლველად, როგორც უკვე ზევით აღინიშნა, გამოიყენება პროგრამა „Turnitin“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- შპს ევროპის უნივერსიტეტის საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი
- შპს ევროპის უნივერსიტეტის საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი
- შპს ევროპის უნივერსიტეტის პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- სასწავლო პროცესის მართვის პლატფორმა https://eunsis.eun.edu.ge
- უსდ-ს ვებგვერდი
- ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციაზე წარმოდგენილი იყო ახალი საგანმანათლებლო პროგრამა. აქედან გამომდინარე, სააკრედიტაციო ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. საერთო ჯამში, უნივერსიტეტში ჩატარებული ინტერვიუებისა და შეფასების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით სათანადოდ ინფორმირებულები არიან და სასწავლო დაწესებულებასთან რეგულარული კომუნიკაციის საშუალება აქვთ.

უნივერსიტეტში მოქმედებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პორტალი https://eunsis.eun.edu.ge. აღნიშნულ ვებგვერდზე ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია და თავსდება მათი მიმდინარე, შუალედური და საბოლოო შეფასებები. მასში ასევე ინტეგრირებულია moodle-ის სისტემა. ამასთან ერთად, მიმდინარეობს მათთან რეგულარული კომუნიკაცია და, უნივერსიტეტის ელფოსტასთან ერთად, პლატფორმა წარმოადგენს სასწავლო დაწესებულებასთან და აკადემიურ პერსონალთან კონტაქტის ეფექტურ საშუალებას.

თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს საკონსულტაციო საათების არსებობას. როგორც ინტერვიუებისას აღინიშნა, სტუდენტები ინფორმირებულები არიან ამის შესახებ და კმაყოფილები არიან გაწეული საკონსულტაციო მომსახურებებით. ჩატარებული ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მათ ასევე რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია გაცვლითი პროგრამებისა და სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების შესახებ.

„ევროპის უნივერსიტეტში“ ფუნქციონირებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, რომლის მიზანიცაა უსდ-ს სტუდენტების და კურსდამთავრებულების ხელშეწყობა დასაქმების და კარიერული განვითარების მხრივ. ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ როგორც მოქმედ სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს, რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია ბაზარზე არსებული

ვაკანსიების და დასაქმების მხრივ ხელშემწყობი სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. მათი თქმით, სწავლების ელექტრონულ პორტალთან და უნივერსიტეტის ელ-ფოსტასთან ერთად, ამ მიზნით ასევე არსებობს სპეციალურად შექმნილი ჯგუფი სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“. ამრიგად, მათთან კომუნიკაცია რეგულარულად მიმდინარეობს.
ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში ასევე გამოიკვეთა სტუდენტთა ინფორმირებულობა აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობისა და მისი დაცვის მექანიზმების შესახებ. ამასთან ერთად, მათი მხრიდან დადებითად შეფასდა საგამოცდო პროცესის ჩატარების, ზედამხედველობის, გამჭვირვალობის და გამოცდის შედეგების გასაჩივრების არსებული მექანიზმები. სტუდენტები და კურსდამთავრებულები იცნობდნენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საშუალებით საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებთან წვდომის მექანიზმებსაც და აღნიშნეს, რომ არაერთხელ უსარგებლიათ ამ რესურსით.
იმ რესპონდენტებმა, რომლებსაც Covid 19-ის პანდემიის დროს მოუწიათ სწავლა, დადებითად შეაფასეს დისტანციური სწავლების მხრივ საკუთარი გამოცდილება.
ყოველი კურსის ბოლოს სტუდენტებს სასწავლო პორტალის საშუალებით ეგზავნებათ როგორც გავლილი კურსის, ასევე ლექტორის შეფასების კითხვარები, რომლითაც უზრუნველყოფილია მათი მხრიდან მუდმივი უკუკავშირი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მართვის პლატფორმა https://eunsis.eun.edu.ge
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- უსდ-ს ვებგვერდი
- სტუდენტთა ზოგადი კმაყოფილების კვლევის ანგარიში
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის და დანართი 1-ის მიხედვით პროგრამაში მონაწილეობს 40 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აქედან 22 აკადემიური, ხოლო 18 მოწვეული პერსონალი. მათი თანაფარდობა შეადგენს 1.22, რაც საკმაოდ ადეკვატურია. აკადემიური პერსონალის კვლევითი გამოცდილება და კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დარგში თანამედროვე ტენდენციების და მიღწევების გამოყენებას სწავლების პროცესში, საინტერესოა აკადემიური პერსონალის აფილირების მაჩვენებელი. 9 პროფესორიდან აფილირებულია 3, 11 ასოცირებული პროფესორიდა აფილირებულია 5, ხოლო 2 ასისტენტ-პროფესორიდან აფილირებულია 0. შესაბამისად, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 8-ს. არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტთა მომსახურეობის მიზნით მონაწილეობს 13 ადმინისტრაციული პერსონალი. არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური, სამეცნიერო, აკადემიური და პრაქტიკული მუშაობის შესაბამისი გამოცდილების მქონე პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი

დიპლომებით, სერტიფიკატებით, ნაშრომებით, პუბლიკაციებით, პრაქტიკული გამოცდილებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება ევროპის უნივერსიტეტის „პერსონალის შერჩევის წესის“ (დამტკიცებულია ევროპის უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 20 მარტის №86 ბრძანებებით) მიხედვით.

ანალიზი - ევროპის უნივერსიტეტში არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის ბოლო 5 წლის მონაცემების შესწავლამ დაადასტურა მათი ცოდნა, გამოცდილება და კომპეტენცია, რომელიც შესაბამისობაშია საკვალიგიკაციო მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (40) საკმაოდ მაღალია სტუდენტების პოტენციურ რაოდენობასთან (10) მიმართებაში. პროგრამის განხორციელებისთვის კარგად არის გამოყენებული უნივერსიტეტის შიდა რესურსი. 22 აკადემიური პერსონალიდან 8 აფილირებულია ევროპის უნივერსიტეტთან, მათგან 6 დარგობრივი მიმართულებით, რაც მეტწილადუზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. იმისათვის, რომ პროგრამის მდგრადობას მომავალში არ შეექმნას საფრთხე, უსდ-მ გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა არქეოლოგიაში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და ის უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში და მათ შეფასება-განვითარებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, და სხვადასხვა ღონისძიებებში. ინტერვიურების პროცესში გაირკვა, რომ უსდ-ს ჰყავს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს და რომლებიც ხელს უწყობენ პროგრამების განხორციელებას და მათ შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალში წარმოდგენილია ახალგაზრდა კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც შეუძლიათ არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად განახორციელონ არქეოლოგიური ძეგლის, გათხრების პროცესის თუ ცალკეული მონაპოვრების ფიქსაცია-დოკუმენტაცია. იგულისხმება გეოინფორმაციული სისტემის, ფოტოგრამეტრიის, დისტანციური ზონდირების და სხვა გამოყენება. ეს მომენტი გარკვეული უპირატესობაა რამდენიმე ქართულ საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო დაწესებულებასთან შედარებით.

შემდგომში ამ აკადემიურ პერსონალს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს პროგრამის გაძლიერების საქმეში.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**22**	**8**	**6**	**8**
- პროფესორი	9	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	11	3	3	5

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასისტენტ-პროფესორი	2	2		
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	18	5	2	_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პერსონალის პირადი საქმეები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- **სასურველია, გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა არქეოლოგიის მიმართულებით;**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო პროცესის განვითარებას და ხელშეწყობასთან ერთად, ორიენტირებულია აკადემიური პერსონალის შეფასებისა და განვითარების ხელშეწყობაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განვითარების გეგმით გათვალისწინებულია აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სრულყოფა და მართვის პროცესში მათი გამოყენების მექანიზმებისთვის შემუშავებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობისა და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასებისა და წახალისების წესები. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უნივერსიტეტში დანერგილია და წარმატებით მუშაობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების, თვითშფასების და განვითარების სქემა, („შპს ევროპის უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი“) ხორციელდება სასწავლო პროცესზე დაკვირვება და ანალიზის საფუძველზე ისახება გაუმჯობესების გზები, არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის. პროგარამის განხორციელებაში ჩართულნი არიან პრაქტიკოსი სპეციალისტები, რომელთა უმრავლესობას საერთაშორისო მასშტაბის

სამუშაო გამოცდილება და შესაბამისი აკადემიური განათლება აქვთ, რაც სწავლების პროცესისა და სწავლის შედეგების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია. აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის განვითარებისათვის უნივერსიტეტი ფაკულტეტების მიხედვით ახორციელებს თანხების გამოყოფას, რომლითაც ფინანსდება კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე და სხვა მსგავს ღონისძიებაზე მონაწილეობის დაფინანსება. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით ევროპის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი მუდმივად მუშაობს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების, საერთაშორისო ინსტიტუციური კვლევითი საგრანტო კონკურსების, საერთაშორისო ინდივიდუალური სასტიპენდიო კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიების, უნივერსიტეტის პერსონალისთვის გაზიარების მიმართულებით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს თავის თანამშრომლებს კვალიფიკაციის ამაღლებაში, ამ მიზნით უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებების ან არასამთავრობო საგანამანათლებლო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა და ღონისძიებებში, სპეციალური კურსების გავლას და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პირები სისტემატურად აქვეყნებენ ნაშრომებს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში, აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, სემინარებში, ტრენინგებსა და პროექტებში, რაც დასტურდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის CV-ებით და მონაწილოებენ სხვადასხვა საგრანტო პროექტებში;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასები წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- უნივერსიტეტის საუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად ევროპის უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა და რესურსები, კერძოდ:

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სასწავლო კურსებისთვის (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის) გამოყოფილია სათანადოდ და თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო, საბიბლიოთეკო სივრცე, სტუდენტთა ჯგუფური მუშაობის სივრცე, ყველა სათანადო პირობა სტუდნეტებისა და პერსონალისთვის. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტისათვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. უსდ - ში ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა, აუდიტორიებში სარგებლობენ გადასაადგილებელი პროექტორებით. უზრუნველყოფილია ინტერნეტთან თავისუფალი წვდომა, დაცულია უსაფრთხოების ნორმები, შენობა აღჭურვილია უსაფრთხოების კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებითა და რეკრეაციული ზონებით. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;

უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული, სამეცნიერო ბაზები, რომლით სარგებლობა შესაძლებელია როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისე უნივერსიტეტის შენობის გარედან. უნივერსიტეტის შენობის გარედან ბაზებზე წვდომის მისაღებად უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები მიმართავენ ბიბლიოთეკას ინდივიდუალური ანგარიშისა და პაროლების მისაღებად. საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების შესახებ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პერსონალს მუდმივად მიეწოდებათ ინფორმაცია და ინსტრუქციები ბიბლიოთეკის თანამშრომლებისგან, შეხვედრებისა და ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ბიბლიოთეკა რეგულარულად აღრიცხავს მკითხველისა და სახელმძღვანელოების ბრუნვას თემატიკის მიხედვით, რაც ეხმარება განსაზღვროს კონკრეტული მიმართულებით არსებული სახელმძღვანელოების სათანადო რაოდენობა.

პროგრამის სათანადო რესურსებით ასაღწერად ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს უნივერსიტეტში პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისთვის არსებული შიდა ინსტიტუციური ბაზა: ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი და არქეოლოგიური მასალის საცავი და მუდმივმოქმედი ექსპედიციები - ოხერახევის ადრეელინისტური პერიოდის სამაროვანსა და ნაქალაქარზე (მცხეთის მუნიციპალიტეტი); თელავის ,,ბატონის ციხის“ ტერიტორიაზე (კახეთი); ბაჯითის ბრინჯაოს ხანის სამაროვანზე (საჩხერე).

ევროპის უნივერისტეტი წარმოადგენს გრძელვადიან ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

უნივერსიტეტმა უკანასკნელ ხანებში განაახლა საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისთვის საჭირო ინვენტარი (დიფერენციალური GPS, ელექტრო ტაქეომეტრი და სხვა) რაც უზრუნველყოფს აღნიშნული კვლევების თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 2022-2023 აკადემიური წლის ბიუჯეტი;
- საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები: https://eu.edu.ge/ge/library, ბაზებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი.
- უნივერსიტეტის წლიური ანგარიში

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უზრუნველყოფილ იქნეს უახლეს დარგობრივ და პროფესიულ გამოცემებზე და საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობის გაძლიერება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტი წარმოადგენს ფინანსურად სტაბილურ და მდგრად დაწესებულებას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება. უნივერსიტეტის ბიუჯეტი არის პროფიციტული, უნივერსიტეტს შეუძლია საკუთარი შემოსავლებით ხარჯების დაფარვა. ბიუჯეტის შედგენის პროცესი მიმდინარეობს უნივერსიტეტში მოქმედი დოკუმენტის „შპს ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები“ (დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №6 გადაწყვეტილებით) შესაბამისად. ევროპის უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის პროცესი დეცენტრალიზებულია, რაც გულისხმობს, რომ ბიუჯეტირების პროცესში უნივერისიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს გააჩნია უფლებამოსილება წინასწარ განსაზღვრული ფინანსური ლიმიტების, მისი უფლებამოსილებისა და ვალდებულებების ფარგლებში, დამოუკიდებლად განსაზღვროს შემდეგი წლის ხარჯების სახეები და მოცულობები. ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები განხორციელებადია, რადგან იგი მხარდაჭერილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მიერ და უზრუნველყოფილია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის შემოსავლებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით უნივერისტეტი წარმოადგენს გრძელვადიან ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკისა და პროცედურების დოკუმენტი;
- სამართლის, განათლების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის 2022-2023 აკადემიური წლის ბიუჯეტი;
- არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2023-2024 აკადემიური წლის ბიუჯეტი.
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და

იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების პორთფოლი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის ***არქეოლოგია***. არის მოცულობითი და ინფორმაციული და ფაქტობრივად სრულყოფილ წარმოდგენას ქმნის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის შესახებ, რომელიც ფოკუსირებულია და იგეგმება რამდენიმე მიმართულებით. სამსახურის აქტივობებს საფუძვლად ედება აკრედიტაციის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტებითა და ნორმებით გათვალისწინებული სიახლეები და განათლების სისტემის წინაშე არსებული უახლესი გამოწვევები, ის ემყარება უსდ-ს მოქმედების შემდეგ სფეროებს: ***სწავლა-სწავლება, კვლევა, მართვა და სერვისები***, რომლის განხორციელებას ხელს უწყობს დაწესებულების შესაბამისი სამსახურების მიერ მომზადებულია და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი კონკრეტული რეგულაციები, პროცედურებისა და პროცესების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელთა საფუძვლია არამარტო საერთაშორისო რეგულაციები და დოკუმენტები, არამედ საქართველოს კანონდებლობის მნიშვნელოვანი რეგულაციები, რაც გათვლილია უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიური მხარდაჭერითა და თანამშრომლობით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია უნივერსიტეტის მისიისა და ღირებულებების, დარგების სპეციფიკის, საზოგადოების მოთხოვნებისა და უახლესი გამოწვევების უმნიშვნელოვანესი თემების გათვალისწინებით, რომლის გამართული რეალიზება საგანმანათლებლო პროგრამაში შედეგია საგანმანათლებლო პროგრამების და მათი განხორციელებით დაინტერესებულ მარეთა მხარდაჭერის მიზნით ფორმირებული მარეგულირებელი წესებითა და ხარისხის უზრუნველყოფის სხვა ნორმატიული დოკუმენტებით, მათ შორის უნდა დასახელდეს:

- *უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 მარტის №96 ბრძანებით);*
- წინამდებარე დოკუმენ*უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის განმსაზღვრელი დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ (დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №6 ოქმით);*

საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და პროცედურები გაცნობისა და ინტერვიუების შემდგომ ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი გახდა, რომ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს პრინციპებით: *გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდურობა*, რაც თავის მხრივ ემსახურება უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის ამაღლებას, შესაბამისად, ზემოხსენებული მიდგომა ხელს უწყობს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას აკადემიური პროცესების გაუმჯობესების მიზნით. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს პრინციპით: *დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე.* გამომდინარე ფაკულტეტებისა და დარგების სპეციფიკიდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინდივიდუალურად ხედავს და აფასებს კონკრეტულ პროცესებს, ავითარებს მათ და მხარს უჭერს დაწესებულებას სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების პროცესების გაუმჯობესებაში.

პროგრამის შემუშავება სტრატეგიულად მართებულად იქნა დაგეგმილი, კერძოდ, პროგრამის ინიცირების ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დასაქმების ბაზარი და მისი სპეციფიკა. ინსტიტუციამ შეისწავლის რეალური ვითარება საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ბაზრის კვლევის მეთოდოლოგია დაეყრდნო როგორც ღია წყაროებს, ისე პროფესიული წრეების წარმომადგენელთა პოზიციებსა და რეკომენდაციებს. ბაზრის კვლევა იყო დეტალური და სარეკომენდაციო დასკვნებში ხაზგასმული იყო არქეოლოგის დარგში სპეციალისტების მომზადების აუცილებლობა განპირობებული იყო არაერთი ფაქტორით, მათ შორის დარგის ახალგაზრდა

და პერსპექტიული კადრებით შევსებით, ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილი არაერთი საერთაშორისო გათხრებით და ამავდროულად, კვლევის ობიექტების მიმდებარე ტერიტორიებზე მოწყობილი ადგილობრივი მუზეუმების სიმრავლით. ფაქტობრივად, საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების აუცილებლობა გამოწვეული იყო ობიექტური რეალობით.

კვლევი ფორმატში მომზადდა როგორც გარე, ისე შიდა ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზი. საყურადღებო იყო ინსტიტუციის მიერ ჩატარებული კვლევები, რომლის ფარგლებში განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული მხარეების მიერ პროგრამის შეფასება. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევა დაგეგმილია მართებულად, რაც გამოიხატება შემდეგში:

- განისაზღვრა ანალიტიკური კვლევის ინსტრუმენტი (ანკეტური გამოკითხვა), არეალი (ქართული საუნივერსიტეტო სივრცე და პოტენციურ დამსაქმებელთა დარგობრივი ორგანიზაციები), მონაწილე სუბიექტები (არქეოლოგიის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პოტენციური დამსაქმებლები), კვლევის ტექნიკა (SurveyMonkey-ს პლატფორმის);
- მიღებული რეკომენდაციები გაანალიზდა და წარდგენილ იქნა პროგრამის საინიციატივო ჯგუფის წინაშე, რომლის მიერ რეკომენდაციები და რჩევები არ იქნა განხილული უალტერნატივოდ;

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის შედგენის პროცესში დაიგეგმა და განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის შედარება საზღვარგარეთის, სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების გამოცდილება ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის საელმწიფო, სსიპ-ილიას სახელმწიფო, სოხუმის სახელმწიფო, საქართველოს უნივერსიტეტები (როგორც კერძო დაწესებულება), ვარშავისა (პოლონეთი, როგორც უნივერსიტეტი ევროპული სივრციდან) და ეგზეტერის (დიდი ბრიტანეთი, როგორც წამყვანი პრაქტიკის მქონე უნივერსიტეტი) უნივერსიტეტები. წინამდებარე უნივერსიტეტების შერჩევას საფუძვლად დაედო კონკრეტული მეთოდოლოგია, კერძოდ,

- ✓ უნივერსიტეტების რეიტინგი;
- ✓ სტუდენტთა რიცხოვნობა;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება;
- ✓ დარგით დაინტერესების რეიტინგი კონკურსში მონაწილე აბიტურიენტების მხრიდან (პირველი მონიშვნით: თსუ - 25:85, ილიაუნი - 40:65, სოხუმის უნივერსიტეტი - 25:35, საქართველოს უნივერსიტეტი - 15:20.

რაც შეეხება ანალიზის სამიზნე ველს, საგანმანათლებლო პროგრამების შედარების პროცესში დადარდა საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი და მოცულობა. შედეგად შედარების შედეგებიდან გამომდინარე დაწესებულებამ გაიზიარა საუკეთესო პრაქტიკები უცხოური საუნივერსიტეტო სივრციდან (მათ შორის მომზადდა ანალოგიური პროგრამებისათვის ქართულ საგანმანათლებლო პროგრამებისგან განსხვავებით ნაკლებად დამკვიდრებული სასწავლო კურსები, გაფართოვდა საველე პრაქტიკის მოცულობა). წინამდებარე ცვლილებებისა და მოდიფიკაციის მიზანს წარმოადგენდა პროგრამის მიახლოებასსაერთაშორისო სტანდარტთან, რაც გააფართოებს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას და ერთობლივი კვლევითი და საძიებო პროექტების დაგეგმვას უცხოელი პარტნიორების მონაწილეობით.

დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის მხრიდან, თუმცა შედეგი ძირითადად პოზიტიურია, ისევე როგორც გამოკითხულ სტუდენტთა დიდი უმრავლესობა წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამას პოზიტიურად აფასებს. მსგავსი კვლევის შედეგები გაცილებით რეალისტურად წარმოდგება საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემდგომ.

პროგრამის განმახორციელებელ და დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, საფაკულტეტო ადმინისტრაცია, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები მუდმივად ჩართულნი არიან აკადემიური პროცესებში, რაც საშუალებას აძლევს დაწესებულებას ხარისხის კულტურის ამაღლების. ინტერვიუერები იყო ინფორმაციული, რამაც ხელი შეუწყო თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი დამატებითი მასალების განმარტებასა და ბუნდოვანი საკითხების შევსებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;
- ადმინისტრაციული პერსონალის მიერ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების შედეგები, შედეგების ანალიზი და რეაგირების ანგარიშები;
- შპს-ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცედურები;
- შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები;
- ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასების მიზნით დაწესებულება ცალსახად მიმართავს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებულებაში განხორციელებულ შეფასებას, რაც წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამას არ გაუვლია, გამომდინარე იქიდან, რომ ის აქამდე არ განხოციელებულა. თუმცა ასეთი არსებობის შემთხვევაში დაწესებულება შეფასების დროს მიღებულ რეკომენდაციებს დეტალურად აანალიზებს, განიხილავს პროგრამის განმახორციელებელ და პროგრამით დაინტერესებულ მხარეებთან ერთად და მათი მიზნობრიობიდან გამომდინარე ასახავს საგანმანათლებლო პროგრამაში.

თუმცა აკრედიტაციის მიზნით შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამაში აისახა, არამხოლოდ შიდა შეფასების თემები და მიგნებები, არამედ პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა საგანმანათლებლო პროგრამა წარადგინეს გარე შეფასების მიზნით დარგის ქართველ ექსპერტთან (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უძველესი სახელმწიფოების არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი დიმიტრი ახვლედიანი). საექსპერტო დასკვნა მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმისა და სასწავლო გეგმის მიხედვით. დასკვნაში ხაზგასმულია და მის ძლიერ მხარედაა მიჩნეული *პროგრამის პროფესიული მომზადების მოდული და დარგის მონათესავე სასწავლო კურსების შეთავაზება* ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით. ასევე დამოუკიდებელი შემფასებლის მხრიდან პოზიტიურ ფაქტად წარმოჩინდა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთა მიერ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული ძეგლების და არტეფაქტების კვლევის პოლიტიკის გათვალისწინება. თუმცა ექსპერტს ჰქონდა შეთავაზება ცალკეული დარგობრივი სასწავლო კურსების კრედიტ-მოცულობის გაზრდის თაობაზე, რაც რიგ შემთხვევაში განხორციელდა პროგრამის განმახორციელებენ პირთა მიერ (მაგ., სასწავლო კურსებს ,,არქეოლოგიური არტეფაქტების შენახვა და კონსერვაცია“ და ,,კულტურული მემკვიდრეობის ადგილობრივი და საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება“ გაეზარდა კრედიტ-მოცულობა.)

გარე შეფასების აქტივობებიდან უნდა დასახელდეს დამსაქმებელთა კონკრეტული პოზიციები, რომელშიც ნათლად ჩანს დამსაქმებელთა დაინტერესება საგანმანათლებლო პროგრამისადმი. გამოკითხვების შედეგები გაზიარებულ იქნა პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტისათვის, შედგა შესაბამისი ფოკუს-ჯგუფები და განხილულ იქნა ცალკეული რეკომენდაციები პროგრამის შემუშავების სამუშაო ჯგუფებში, რის საფუძველზე გარკვეული ცვლილებები ასევე განიცადა საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმმა.

ინტერვიუებმა წარმოაჩინა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირები, ასევე პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლები და დამსაქმებლები მუდმივად ჩართულნი არიან აკადემიური პროცესებსა და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება;
- შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის

მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაგეგმილი რეაგირებების შესრულებას მონიტორინგს უწევს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების კურატორ ვიცე-რექტორთან ერთად. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში შემუშავებული შეფასების პროცედურები რეგულარულად, წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით ხორციელდება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასებების, მიღებული შედეგებისა და რეაგირების შესახებ წლიური ანგარიში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ წარედგინება ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორს, მექანიზმების ეფექტიანობის შეფასებისა და გაანალიზების, მათი დახვეწისა და გაუმჯობესების საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით. ანგარიში გაცნობისა და რეკომენდაციების მიღების მიზნით ხარისხის განვითარების მიმართულებით ვიცე-რექტორის მიერ წარედგინება მმართველ საბჭოს.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, შესაბამისად, ის არ დაქვემდებარებულა მონიტორინგის პროცესსა და შესაბამის პროცედურებს. სხვა მხრივ, დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება გულისხმობს:

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად (მოცემულ შემთხვევაში უსდ-მ თვალსაჩინოების მიზნით წარმოადგინა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის წლიური ანგარიში);
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების შემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, საბიბლიოთეკო რესურსების განახლებას და სხვ.;
- ✓ საგანმანათლებლო ხპროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების შესაბამისად) და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (პროგრამის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება.);
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებას სააუდიტორო საქმიანობის პროცესში (შეფასების პროცესი რეგულირდება „ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების“ შესაბამისად, დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 20 მარტის N85 ბრძანებით);

შეფასების პროცესში მონაწილე პირები არიან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, სფეროს ან მომიჯნავე სფეროს სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგცენტრის წარმომადგენელი. შეფასების შედეგები ემსახურება როგორც სწავლისა და სწავლების გაუმჯობესებას, ისე საუკეთესო კოლეგიალური პრაქტიკების გაზიარებას. შეფასების შედეგების განხილვის საფუძველზე იგეგმება პროფესიული განვითარების ღონისძიებები, მათ შორის დარგობრივი ტრეინინგები.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ემსახურება უწინარესად საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის მიზნით, რაც გულისხმობს გამართულ სასწავლო პროცესს, უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზის ეტაპობრივ და მიზნობრივ სრულყოფას, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების

ხელშეწყობას, სრულყოფილ საუნივერსიტეტო სერვისებს, მუდმივ ინტერაქციას სტუდენტებთან. კვლევების შემდგომ მიზნობრივ ჯგუფებთან, განიხილება საბოლოო დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც გაზიარებულია როგორც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ისე ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შემდგომი რეაგირებისთვის. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამა დაექვემდებაროს მოდიფიკაციას.

ვიზიტის პროცესში ინტერვიუებიდან დადასტურდა, რომ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები მომიჯნავე პროგრამიდან იცნობენ ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებულ მონიტორინგის განხორციელების რეგულაციებს, რომელთა გაცნობა შესაძლებელია პროფესიული განვითარების მხარდამჭერი დაწესებულების მიერვე შეთავაზებული სამუშაო შეხვედრებისა და ტრეინინგების ფარგლებში. ამას გარდა, აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ მათ მსგავს პროცესებში მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული, თუმცა სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში მონიტორინგის მექანიზმები სრულყოფილად ამოქმედდება წინამდებარე პროგრამისათვის, რაც ხელს შეუწყობს მის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;
- შპს-ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- შპს ევროპის უნივერსიტეტის კმაყოფილების კვლევების ჩატარების სახელმძღვანელო;
- შპს ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები;
- ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები (სანიმუშო ეგზემპლარები);
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის *სამართალი* წლიური შეფასების ანგარიში;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლევან ჭაბაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

მერაბ ჭუმბურიძე

ნინო სანადირაძე, ხელმოწერა

ნინო ქიმერიძე, ხელმოწერა



საბა ყაფლანიშვილი